# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№40 (10043) 2026 წლის 6 აპრილი, ორშაბათი




საქართველოს ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი 2026

## ზოგადქართული მოვლენის დაბადება

10

## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში 3

## მართლა რომ არ გადავშენდეთ!

შობადობის ზრდა უპირველეს ეროვნულ პრობლემად იქცა!

## ცოფიანი ძაღლები პოლიტიკურ შუკებში




2

ოპოზიციის ისტერია

ნელი კობიაშვილი:

## მარტოსული გენიის შემოქმედება

6





## მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის საგანძური



4

## ნიკა გვარამიას ლიდერობა „ოცნების“ ამომრჩევლისთვის ნაღდი „საჩუქარია“...

## აშშ-ის აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის ეროვნული ჯილდო ქართველ მეცნიერს რაგული ინასარიძეს



12

მეუფე შიო:

## ხალხში საოცარი გამონათება მოხდა

საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ, მეუფე შიომ სიონის საპატრიარქო ტაძარში გზოგის სადღესასწაულო ლიტურგია აღავლინა, შემდეგ კი შეკრებილებს ქადაგებით მიმართა.



„სახოტბო შეძახილებით ხვდებოდნენ მას და შეიძლება ითქვას, თითქოს მოხდა ხალხში საოცარი გამონათება. ყველამ შეიცნო იესოში მათი მხსნელი, ღმერთიც, მკურნალიც, რომელიც ახდენს სასწაულებს და მკვდრებსაც აღადგენს. ასეთი გამონათება, შეიძლება მოხდეს და ხდება კიდეც ყოველი ჩვენგანის სულში. შეიძლება ვთქვათ, რომ მსგავსი საოცარი გამონათება ვიხილეთ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორის გარდაცვალების შემდგომ დღეებში, როდესაც მთელი ჩვენი ერი გაერთიანდა მისდამი მადლიერების, სიყვარულის გრძნობაში. ეს არ იყო მხოლოდ ილია მეორის პიროვნების დაფასება, არამედ პირველყოვლისა იყო ღვთისადმი, ეკლესიისადმი, სამშობლოსადმი სიყვარულის გამოხატვა და იმ ღირებულებების ერთგულების გამოვლინება, რომელსაც მისი უწმინდესობა და უნეტარესობა მთელი ცხოვრება ემსახურებოდა და ქადაგებდა“...

სიონის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს-კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორეა დაკრძალული.

## ირაკლი ფარჯიანის გამოფენა – „იდუმალი სხივი“



7


ვებ.გვერდი: WWW.SAK.GE ელ.ფოსტა: SAK@SAK.GE



## ოპოზიციის ისტერია

**არ მინდა, კიდევ ერთხელ აგაფორიაქოთ, მაგრამ სინამდვილეს ვერსად გავექცევით: ბოლო არ უჩანს რუსეთ-უკრაინის ომს; გრძელდება ამერიკული ჯოჯოხეთი ირანსა და მთელს მახლობელ აღმოსავლეთში; კაცობრიობის უანგარო მეგობარმა ტრამპმა მთელი მსოფლიოს გასაგონად კიდევ ერთხელ და უკვე მერამდენედ გაიმეორა, რომ 90-მილიონიანი ირანი უკვე განადგურებულია, მაგრამ მის საბოლოოდ დასამარებამდე დაბომბვებს არ შეწყვეტს; თავის მხრივ, ირანი დანებებას არ აპირებს და აშშ-ის სატელიტ ქვეყნებს დაუნდობლად ბომბავს...**

კაცობრიობა ბირთვული ომის, საკუთარი ისტორიის მარადიული დასასრულის კარიბჭესთან დგას. ვინაიდან საქართველოც კაცობრიობის ნაწილია, ბედისწერას ისიც ვერ გაექცევა. იქნებ ამერიკელმა ხალხმა გამოიღვიძოს, მის მიერვე არჩეული პრეზიდენტი შეაჯანჯღაროს და ბირთვულ ომს გადავურჩეთ, მაგრამ, ვფიქრობ, აშშ-ირანის დაპირისპირებაში ჩვენი ქვეყნის ჩათრევის საშიშროება მაინც არსებობს – ევროპის ქვეყნებისგან აშკარად ზურგშექცეული ამერიკა, სავარაუდოდ, ყველანაირად ეცდება ირანის ახლო მეზობლების საბრძოლო პლაცდარმებად გამოყენებას, რაც დიდი ალბათობით, ამ ქვეყნებს, მათ შორის, საქართველოსაც, შესაძლოა, ტრაგედიად შემოუბრუნდეს...

საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევით, ბეწვის ხიდზე სიარულის მისი მართლაც შესაშური ნიჭის წყალობით, ჯერჯერობით უფსკრულში არ გადავჩეხილვართ. იმედია, ხვალაც ასე იქნება. ძალიან მოკლედ, ასეთია მწარე და საშიში დღევანდელობა...

# ცოფიანი ძაღლები პოლიტიკურ შუკებში

**და, აი, ამ ფონზე საქართველოში მძვინვარებს მრისხანე კამპანია კოდური სახელწოდებით „ძაღლი ჩემი მეგობარია!“**

**ძალიან გთხოვთ, „ანტიდოგების“ (ძაღლთმოძულეების) სიაში ნუ ჩამწერთ. ვერ დავიკვეხნი, თანამედროვე ოჯოდასის დონეზე მეთქი, მაგრამ ადამიანის მეგობარი ეს სიმპათიური ცხოველები მეც ძალიან მიყვარს. ქუჩაში შემხვედრ ყველა ძაღლს ვეფერები და მათ გამასპინძლებასაც ვცდილობ. თუმცა, უნდა ვაღიარო - ჩემი შვილები, შვილიშვილები, მეგობრები და მტერ-მოყვარენი, საერთოდ, ადამიანები უფრო მეტად მიყვარს. მოკლედ, თუ ქუჩაში ძაღლისა და ადამიანის ჩხუბს შევესწარი (და რამდენჯერმე შევსწრებივარ კიდეც!) აუცილებლად ადამიანის მხარეს დავდგები.**

თურმე, ნუ იტყვით და, თოფებით შეიარაღებული ვიღაც სადისტი „ანტიდოგები“ მთელი საქართველოს მასშტაბით ქუჩებში გამოფენილან და საბრალო უსახლკარო-უპატრონო ძაღლები დაუნდობლად დაუცხრილავთ!

რაც მთავარია, თურმე, ყველაფერი ეს (ძაღლების მასობრივი ხოცვა-ჟლეტა) ხდება საქართველოს ხელისუფლების, პირადად ბიძინა ივანიშვილის დავალებით და უშუალო ხელმძღვანელობით. მართალია, ამ ბარბაროსობის რაიმე დამამტკიცებელი დოკუმენტური მასალა არავის მოუშველიებია და ვერც მოიშველიებდა, მაგრამ ამას არცა აქვს მნიშვნელობა – სათქმელი უკვე ითქვა და საინფორმაციო სივრცეც გადაიჭედა – „ოცნება“ მეგობარი ძაღლების დაუნდობელი მტერია! ახლა თავად წარმოიდგინეთ, როგორ გაუსწორდება „ძაღლთამჟლეტი“ მმართველი პარტია თავის პოლიტიკურ ოპონენტებს, არანაკლებ მყეფარ-მკბენარ გაავებულ ნაცალიანსელებს! მით უფრო, თუ ისინიც მეგობარი მყეფარებივით თვეობით ქუჩებში დაწანწალებენ და პირზე ქაფმომდგარი ყოველი შემხვედრის კბენა-დაგლეჯვისთვისაც მზად არიან.

ერთი შეხედვით, ამით აიხსნება აპრილის პირველ დღეებში გავრცელებული ისტერიული „დოგოჰობიური“ (ძაღლთმოყვარული) გამოსვლები – უმწვავესი ანტისახელისუფლებო განცხადებები; შეგონებები ამ სიმპათიური ცხოველების კეთილშობილებაზე; ძაღლების თავშესაფარში მოქალაქეთა ერთი ჯგუფის შეჭრა და სპეციალურად დაცული ვოლიერებიდან დაავადებული, მათ შორის, ცოფის ვირუსზე დაკვირვების ქვეშ მყოფი მეგობრების „გათავისუფლების“ მცდელობები მათი „ცოცხლად დაწვისგან“ გადარჩენის კეთილშობილური მიზნით.

ამის მნახველსა და გამგონეს სულაც არ გაგიკვირდებათ კოლექტიური ოპონაცისტების გუშინდელი მტკიცება, რომ, თურმე, თბილისის მერის მეუღლემ თავისი ქმრის მითიურ საყვარელს დაბადების დღეზე ვარდისფერი კუბო გაუგზავნა! იმ ოპონაცისტებზეა საუბარი, რუსთაველის პროსპექტზე მთელი მსოფლიოს დასანახად საქართველოს მმართველი პარტიის ლიდერის სიმბოლური გვამით „დამშვენებულ“ კუბოს რომ დაარბენინებდნენ!




მით უფრო, არ გაგიკვირდებათ ამერიკელი ალალი ჟურნალისტისა და ინფლუენსერის, ჩვენი საამაყო მებრძოლი თანამემამულე მერაბ დვალიშვილის მეგობრის, **ნინა დრამას (ნინა მარი დანიელი)** ცრემლიანი თვალების დანახვა თითქმის მშობლიურ საქართველოში (თუ არაფერი მეშლება, შარშან ზაფხულში გვსტუმრობდა) ძაღლების „ცოცხლად დაწვის“ შეტყობის შემდეგ.

* * *

**აპრილის პირველ დღეებშივე გავრცელდა ინფორმაცია, რომ პირველ აპრილს, 15 საათსა და 30 წუთზე თბილისის აეროპორტში, სავარაუდოდ, საწვავის შევსების მიზნით, დაეშვა ამერიკული სამხედრო-სატვირთო თვითმფრინავი ბოინგ C-17 G Globemaster III, რომელიც დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ სამხრეთის მიმართულებით გაფრინდა. ქართული საინფორმაციო სივრცე სასწრაფოდ გადაიჭედა ამ სტუმრობის დამადასტურებელი ფოტოებითა და ვიდეოებით.**

მაპატიეთ, მაგრამ კიდევ ერთხელ უნდა გავიმეორო: ამერიკა-ირანს შორის მიმდინარე დაუნდობელი სამხედრო დაპირისპირების ფონზე ქართული საინფორმაციო სივრცე სასწრაფოდ დაიპყრო ფოტო-ვიდეომასალებით დადასტურებულმა ცნობამ თბილისის აეროპორტში ამერიკული სამხედრო თვითმფრინავის გამოჩენის შესახებ.

იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ ცოტა ხნის წინათ ქართულ მედიაში ქართველმა „პატრიოტებმა“, სავარაუდოდ, ირანული სამხედრო ძალების საყურადღებოდ გაავრცელეს ინფორმაციები მნიშვნელოვანი „ქართული სტრატეგიული ობიექტების“ მდებარეობის შესახებ.

ყველაფერი ეს ხდება იმ ფონზე, როცა ირანი ცდილობს დაბომბოს ყველა ახლობელი თუ შორეული მეზობელი ქვეყანა, საიდანაც საფრთხე დაემუქრება. და ამას საკმაო წარმატებით ასრულებს კიდეც!

ხელისუფლების ძალისხმევით და მისივე ინტერესებიდან გამომდინარე, ხვალ ალბათ შევიტყობთ, ზუსტად ვინ და რა მიზნით გაავრცელა ჩვენი ქვეყნისთვის უდიდესი საფრთხის შემცველი ეს ინფორმაცია. დღეს კი დანამდვილებით იმის თქმა შეგვიძლია, რომ ჩვენს გვერდით არსებობენ ადამიანები, ჩვენი თანამოქალაქეები, საკუთარი ინიციატივით თუ ვიღაცის დაკვეთით, ჩვენი ბედკრული სამშობლოს სხვის ომში ჩათრევას რომ ცდილობენ.

**ერთი „პატარა“ ეპიზოდიც და მერე ვიფიქროთ, რას უნდა ემსახურებოდეს ეს ყველაფერი.**



კიდევ ერთხელ ვადასტურებ ჩემს მოწიწებას ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორ რომან გოცირიძის მიმართ. რა თქმა უნდა, ბევრმა სხვამაც, მაგრამ, რაც მთავარია, სწორედ ამ მრავლისმნახველმა პროფესიონალმა ეკონომისტმა განაცხადა, რომ ელექტროენერგიასა და ნავთობპროდუქტებზე ფასების მატება საქართველოს ხელისუფლების სინდისზეა. წარმოიდგინეთ, თვით ოპოზიციურ პარტიებსაც კი გადასწვდა და მათი ცინიზმით სავსე კომენტარებიც დაიმსახურა:

**„...წალეკა ტელევიზიები და სოციალური სივრცე ოპოისტერიამ. ფასების ზრდა ყველას დაავიწყდა. სად არიან ოპოპარტიები, ვინ ქმნის დღეს ქვეყანაში კრიტიკულ დღის წესრიგს?!“**

ძალიან მერიდება, მრცხვენია კიდეც, მაგრამ იძულებული ვარ, გავიმეორო ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან დამკვიდრებული და საყოველთაოდ აღიარებული კანონი – ნებისმიერ ქვეყანაში ნებისმიერი საქონლის ფასებს არეგულირებს ბაზარი; საქონლის გაძვირებაზე კატასტროფულ ზეგავლენას ახდენს საერთაშორისო ვითარება. მაგალითად, ნავთობის ფასები საფრანგეთში ან შვეიცარიაში უეჭველად გაიზრდება ავსტრალია-იაპონიის ომის შემთხვევაშიც კი. მეტიც, ნებისმიერი საქონლის ფასებზე უზარმაზარი გავლენის მოხდენა შეუძლია რომელიმე დიდი ქვეყნის ხელმძღვანელის სიტყვიერ განცხადებას, მაგალითად, ასეთს: „მე, აშშ-ის პრეზიდენტი გპირდებით, რომ უახლოეს მომავალში მიწასთან გავასწორებ ირანის სახელმწიფოს.“

ჰორმუზის სრუტის შესახებ დონალდ ტრამპის სწორედ ამგვარი განცხადების შემდეგ ამერიკის საფონდო ბირჟის კაპიტალიზაცია მყისიერად შემცირდა დაახლოებით 550 მილიარდი დოლარით, ბარელი ნავთობის ღირებულება გაიზარდა თითქმის 5 პროცენტით, ხოლო ერთი ლიტრი ბენზინის ფასი 4 დოლარს გასცდა!

**გვინდა თუ არ გვინდა, საქართველო დღევანდელი მსოფლიოს ნაწილია, ირანის ახლო მეზობელია და, ბუნებრივია, კანონზომიერებებს ჩვენც ვერსად გავექცევით. ამიტომ ვამბობ, რომ ერთი კილოვატი ელექტროდენის ფასის 13-დან 18 თეთრამდე (ანუ დაახლოებით 33 პროცენტით) გაზრდა გამოწვეულია საერთაშორისო ვითარებით და არა ვინმე მაღალჩინოსნის ავადმყოფური აკვიატებით. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, ჩემზე გევრად უკეთ ეკონომიკის დოქტორმა რომან გოცირიძემ იცის.**

ახლა მივადექით მთავარ სათქმელს.

„საძაღლეთის ოპოისტერიას“ არავითარი კავშირი არა აქვს ძაღლებთან; თბილისის აეროპორტში ამერიკული სამხედრო-სატვირთო თვითმფრინავის დაშვებას არავითარი კავშირი არა აქვს ამერიკა-ირანის ომთან; ელექტროდენისა და ნავთობის ფასების ზრდას არავითარი კავშირი არა აქვს საქართველოს ხელისუფლებასთან.

**მიტოვებულ საძაღლეთად ქცეული ქაფმორეული ოპოზიცია ყველაფერ ამას და კიდევ უამრავ გევრად უფრო სასაცილო (სატირალი რომ არ იყოს!) „არგუმენტს“ არსებული ხელისუფლების დისკრედიტიზაციის იმედით იშველიებს.**

**ყველაფერი ეს შესანიშნავად იცის თავად დღევანდელი საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკურ ოპოზიციად მოკეკლუცე კასტამ. ყველაზე საწყენი და დამაფიქრებელი კი ის გახლავთ, რომ თუნდაც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან გამომდინარე, ოპოზიცია, თავისი კლასიკური გაგებით, დღევანდელ საქართველოში, საერთოდ, არ არსებობს. მეტიც, თითქმის არ არსებობს საღი ოპოზიციური, ქვეყანაზე ალალად მზრუნველი, მოფიქრალ-მოაზროვნე ოპოზიციური ძალის გამოჩენის პერსპექტივა! სწორედ ამის დასტურია თვითმარქვია ოპოზიციონერთა მხრიდან ძაღლების, ამერიკული თვითმფრინავისა თუ დენის გაძვირების ანტისახელისუფლებო არგუმენტებად გამოყენების უნიჭო და უნიათო მცდელობები.**

იმედია, დამეთანხმებით, რომ ამგვარი „ოპოზიციის“ არსებობა, ანუ რეალური, მოაზროვნე, ქვეყანაზე ალალად მზრუნველი, ჯანსაღი ოპოზიციის არარსებობა ძალიან, ძალიან სახიფათოა, ზოგადად, ქვეყნის მომავლისთვის.

**მიმძიმს ამის აღიარება, მაგრამ სწორედ ამ „ოპოზიციის“ უდიდესი დამსახურებაა, რომ დღევანდელი ხელისუფლება მასთან მიმართებით მოქმედებს პრინციპით – „ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის!..“**



**თეიმურაზ ქორიძე**

05. 04. 2026

საქართველოს რესპუბლიკა

## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში




# მართლა რომ არ გადავშენდეთ!

## შობადობის ზრდა უპირველეს ეროვნულ პრობლემად იქცა!

„დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის მდგომარეობა საქართველოში“ – ეს გახლავთ მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამედიცინო და ბიოლოგიურ მეცნიერებათა საკოორდინაციო-მეთოდოლოგიური საბჭოს სხდომაზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დედათა და ბავშვთა დეპარტამენტის ხელმძღვანელის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ვერიკო ბაზიარის მიერ წაკითხული მოხსენების სახელწოდება. თანამედროვე მედიცინის აქტუალური, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მწვავე, ასევე, სხვა შინაარსობრივი დატვირთვის მქონე საყურადღებო საკითხები, აღნიშნული საბჭოს გამუდმებული ყურადღების საგანს წარმოადგენს, მაგრამ იმ სავალალო გარემოების გათვალისწინებით, რომ გაეროს ექსპერტებმა ქართველები მომაკვდავ ერთა ნუსხაში შეგვიყვანეს, წარდგენილი მოხსენების მნიშვნელობა განსაკუთრებით საგულისხმო და ყურადღებამისაქცევი გახდა.


რამაზ ხუროძე


ზურაბ ქევანიშვილი


რამაზ ხეცურიანი

**– დედათა და ბავშვთა დაცვა, ნებისმიერი ქვეყნის სოციალური და ჯანდაცვითი სისტემის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებაა, რადგან ის პირდაპირ განსაზღვრავს მოსახლეობის ჯანმრთელობის და დემოგრაფიული სტაბილობის მდგომარეობას, აგრეთვე განვითარების პერსპექტივებს,** – თქვა შესავალ სიტყვაში მეთოდოლოგიური საბჭოს ხელმძღვანელმა, აკადემიკოსმა **რამაზ ხეცურიანმა. – ამ მხრივ, ბოლო წლებში, ჩვენში გარკვეული პროგრესი ნამდვილად შეინიშნება, თუმცა კი კვლავაც რჩება არაერთი გამოწვევა, რომელიც სისტემურ ცვლილებებს საჭიროებს.**

საბჭოს ხელმძღვანელმა ყურადღება გაამახვილა დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის მხრივ მიღწეულ გარკვეულ დადებით შედეგებზე, მათ შორის როგორც დედათა, ასევე ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელთა შემცირებაზე, სამედიცინო ინფრასტრუქტურის სხვადასხვა სახეობის მომსახურებათა მეტად ხელმისაწვდომობაზე, ახალი პროგრამების ამოქმედებაზე.

მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ დედათა ჯანმრთელობის მდგომარეობის მიზეზით სიკვდილიანობის მაჩვენებლის გარკვეული შემცირების მიუხედავად, ის მაინც საგანგაშოდ მაღალია, რასაც კიდევ უფრო ამძიმებს ის გარემოება, რომ რომ ხარისხიანი სამედიცინო დახმარების გაწევის შემთხვევაში, მათი თავიდან აცილება სავსებით შესაძლებელია, რაც, უპირველესად, ორსულებისთვის სათანადო ანტენატალური სერვისების არასრულფასოვნების გამო ხდება.

მნიშვნელოვანია სოციალური უთანასწორობის ასპექტიც – ჯანდაცვაზე წვდომა და მომსახურების ხარისხი ქალაქსა და სოფელში, რაც კიდევ უფრო მძაფრია სოციალურად დაუცველ ოჯახებში. აღნიშნული და კიდევ მრავალი სხვა საკითხის გადასაჭრელად აუცილებელია პრობლემისადმი კომპლექსური მიდგომა, მათ შორის ჯანდაცვის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება, მომავალ დედობასთან დაკავშირებით ორსულთა ინფორმირება, ძუძუთი კვების პოპულარიზაცია, ბავშვთა მოვლის პრაქტიკების გავრცელება, ასევე სოციალური მხარდაჭერის გაძლიერება.

**– ქვეყნის დემოგრაფიულ მდგომარეობას სამი მთავარი ასპექტი განსაზღვრავს – იდეოლოგია, სოციალური მდგომარეობა და ჯანდაცვა. მათ შორის წამყვან როლს ასრულებს იდეოლოგია (40 პროცენტი), რომელიც ოჯახის შექმნისა და შვილების ყოლის სურვილის მთავარი განმსაზღვრელია და სწორედ ეს სულიერკულტურული საფუძველი ქმნის გრძელვადიან დემოგრაფიულ ტენდენციებს,** – აღნიშნა დოქტორმა **ვერიკო ბაზიარმა. – სოციალური მდგომარეობის წილად, რომელიც მშობელთა ფინანსურ წახალისებას, საბავშვო ბაგებისა და სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობას, ასევე მრავალშვილიანი ოჯახების მხარდაჭერას ითვალისწინებს, ამ ტრიადაში 25-35 პროცენტი მოდის, ხოლო ჯანდაცვის სისტემის როლი 15-25 პროცენტად შეიძლება შეფასდეს, სადაც გადამწყვეტ როლს სამედიცინო სერვისების ხარისხი ასრულებს, რაც ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანობის სარკეს წარმოადგენს. ჯანმრთელი დედა და ბავშვი მაღალ შობადობასა და ნაკლებ სიკვდილიანობის, შესაბამისად, დემოგრაფიულ და სოციალურ სტაბილურობას ნიშნავს. ამიტომაცაა, რომ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა პრიორიტეტებს შორისაც კი პრიორიტეტულია, სწორედ ამ სფეროს ინდიკატორებით იზომება ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის სიმძლავრე. ამდენად, თუკი სისტემა ამ ჯგუფების სათანადო მონიტორინგს, მოვლასა და მხარდაჭერას ვერ უზრუნველყოფს, მნიშვნელოვნად იზრდება იმის რისკი, რომ ის ვერ გაუმკლავდება შედარებით უფრო რთულ ამოცანას – დაავადებათა მკურნალობასა და ამ პროცესის მართვას.**


ვერიკო ბაზიარი

მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ფიზიკურად ჯანსაღი საზოგადოების ჩამოყალიბება იწყება არა ჩასახვის მომენტიდან, არამედ გაცილებით ადრე, ჩასახვამდელი ეტაპიდან და სწორედ ამ დროსაა შესაძლებელი მრავალი რისკის თავიდან აცილება და ჯანმრთელი ორსულობის საფუძვლის შექმნა. ამიტომაცაა, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ანტენატალურ, ინტრანატალურ და პოსტანატალურ მომსახურებებს, აგრეთვე 0-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვთა ჯანმრთელობის სისტემურ მონიტორინგსა და მართვას, ფიზიკურად და ფსიქიკურად ჯანმრთელი მომავალი თაობების, როგორც ერის ახალი პოპულაციის საფუძვლის შექმნას.

მან დამსწრეთ დეტალურად გააცნო აღნიშნულ მიმართულებებზე ჩვენში პასუხისმგებელი სერვისების სტრუქტურა, რომელიც საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისადაა ორგანიზებული და დონეებად დაყოფილი, მიმოიხილა სისტემის შეფასების ძირითადი ინდიკატორები, განსაკუთრებით გამოკვეთა ბოლო ხანებში მიღწეული პროგრესი. კერძოდ, 2012-22 წლებში საქართველოში მნიშვნელოვნად (80 პროცენტით) შემცირდა ნეონატალური სიკვდილიანობა, მკვდრადშობადობა (62 პროცენტით) და დედათა სიკვდილიანობა (19 პროცენტით). ამასთან, განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა ბოლო წლებში ქვეყანაში არსებულ დემოგრაფიულ ტენდენციებზე, კერძოდ, მშობიარეთა ოდენობის შემცირებასა და ცოცხალშობილთა ოდენობის მკვეთრ შემცირებაზე. აღინიშნა, რომ ასეთი ვითარება ქვეყანას სერიოზული დემოგრაფიული გამოწვევის წინაშე აყენებს და სასწრაფოდ საჭიროებს როგორც ჯანდაცვის, ასევე ფართო სოციალური და სახელმწიფოებრივი პოლიტიკის კოორდინირებულ რეაგირებას.

არსებულ პრობლემათა უშუალოდ სამედიცინო გამოწვევების მიმოხილვისას, ქალბატონმა ვერიკო ბაზიარმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო საკეისრო კვეთის მაღალ მაჩვენებელს, მათ შორის პირველი საკეისრო ოპერაციების ოდენობის ზრდასა და ამ დროს როგორც დედის, ასევე ახალშობილის ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობისთვის არსებულ მაღალ რისკებს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ აღნიშნული პრაქტიკა უარყოფითად აისახება ქალთა რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე, ზრდის გართულებების რისკს და სამომავლოდ ამცირებს ბუნებრივი გზით მშობიარობის შესაძლებლობებს, რაც შემდგომში ძალიან ცუდ გავლენას მოახდენს შობადობის საერთო მაჩვენებელზე.

**– იმის გამო, არასაჭირო იგტროგენური ჩარევისგან მშობიარეთა დაცვა ჯერჯერობით სათანადოდ ვერ ხდება, ჯანდაცვის სამინისტრომ, იაპონიის მთავრობის მხარდაჭერით და ამ ქვეყნის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ტექნიკური და ფინანსური უზრუნველყოფით, დაიწყო სისტემური რეფორმა – მაღალი ხარისხის უწყვეტი სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა დედისა და ბავშვის ჯანმრთელობის წიგნის დანერგვის გზით, რომელიც უზრუნველყოფს ატენტანატალური, ინტრანატალური, პოსტნატალური და 0-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვის განვითარებაზე მონიტორინგის სერვისის განმახორციელებელ ინსტიტუციათა გაძლიერებას კომპეტენციებისა და პასუხისმგებლობების სწორი გადანაწილებით, სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებით და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ორსულთა, მშობიარეთა, მელოგინეთა და ახალშედა დედათა განათლების ამაღლებითა და პროცესში მათი უკვე შესაბამისად ინფორმირებულად ჩართულობით.**

ქალბატონი ვერიკო ბაზიარის მოხსენების შემდეგ გამართულ კამათში, სიტყვით გამოვიდნენ და შეკითხვები განხილულ პრობლემებთან დაკავშირებულ სხვადასხვა ასპექტის თაობაზე დასვეს აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა **რამაზ ხუროძემ,** აკადემიკოსმა **ზურაბ ქევანიშვილმა,** პროფესორებმა **ბეჟან წინამძღვრიშვილმა, სოფიო ბახტაძემ, მიხეილ ჯაფარიძემ** და სხვებმა. განსაკუთრებული სიმძლავრით გაიჟღერა კომერციული სუროგაციის თემამ, რომელიც ჩვენში კვლავაც მეტად მტკივნეულ, აქტუალურ და საკამათო საკითხად რჩება, ასევე ამ მხრივ არსებული რისკები, მათ შორის მოქმედი რეგულაციების არასრულყოფა, დონაციის პროცესის არასაკმარისი კონტროლი, სუროგატი დედების შერჩევისა და


ბეჟან წინამძღვრიშვილი

ზედამხედველობის პრობლემები, ორსულებს შორის რეკომენდებული ინტერვალების დაუცველობა და ასაკობრივი შეზღუდვების არარსებობა. ხაზგასმით ითქვა, რომ აღნიშნული საკითხები გაცილებით მკაცრ და ეთიკურ რეგულაციებს საჭიროებს, რათა დაცული იყოს როგორც ქალთა ჯანმრთელობა, ასევე მოხდეს ინფერტილურობის თავიდან აცილება. ჯანდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ **ირაკლი სასანიამ,** კერძოდ, აღნიშნა, რომ დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვა ჩასახვიდან დაწყებული სხვადასხვა სახეობის სრულფასოვანი სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობა და დროულობა, ამ მხრივ მოსახლეობის განსხვავებულ ფენებს შორის სოციალური თანასწორობის დამყარება, ნებისმიერი ქვეყნის წარმატებულობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია.

**– ჩვენი ჯანდაცვის ჯეროვნად განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორი ისიცაა, რომ, ფაქტობრივად, მთელი სამედიცინო სტრუქტურა – მისი 95 პროცენტი, კერძო მეპატრონეთა ხელშია, ხოლო 5 პროცენტი – სახელმწიფოსია და ეს სრული კატასტროფაა!** – თქვა ბატონმა **ირაკლი სასანიამ. – თანაც კლინიკების უმეტესობას ფლობენ ფარამაცევტული და, წარმოიდგინეთ, სადაზღვევო კომპანიებიც კი, რაც ვითარებას კიდევ უფრო მეტად აუარესებს! მათი მოგების საშუალო მაჩვენებელი წარმოუდგენლად მაღალია – დაახლოებით 20 პროცენტი, რასაც ხშირად პაციენტებისთვის არასაჭირო სამედიცინო მოხმარების გაწევით აღწევენ!**

**ამდენად, ვფიქრობ, ახლო მომავალში შემოვიღებთ შედეგებზე ორიენტირებულ დაფინანსებას, რისი საფუძველი გახდება მიღებული სამედიცინო პროტოკოლების გამოყენება.**

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

(მოამზადა ოთარ ტურაბელიძემ).

# გვარამია, როგორც ახალი „ფავორიტი“ და ოპოზიციის 26 მაისის გეგმები

# ნიკა გვარამიას ლიდერობა „ოცნების“ ამომრჩევლისთვის ნაღდი „საჩუქარია“...




**ქართულ პოლიტიკურ ველზე მოვლენები დინამიკურად ვითარდება. მმართველი გუნდისა და მასთან დაკავშირებული ძალების მხრიდან სულ უფრო ხშირად ისმის განცხადებები იმის შესახებ, რომ დასავლურმა ცენტრებმა ოპოზიციის ლიდერშიპში ცვლილებები შეიტანეს. პრეზიდენტ მიხეილ ყაველაშვილისა და საპარლამენტო უმრავლესობის წევრების შეფასებით, სახეზეა სტრატეგიული როტაცია: სალომე ზურაბიშვილის ნაცვლად, „მთავარ როლში“ ნიკა გვარამია გამოდის.**

## „პრაგმატული პოლიტიკა გარე ჩარევის წინააღმდეგ“

**პრეზიდენტმა მიხეილ ყაველაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას მკაფიოდ აღნიშნა, რომ ქვეყნის სტაბილურობის გარანტი მხოლოდ „ფხიზელი და პრაგმატული“ მიდგომაა.**



მისი თქმით, ოპოზიციის ნაწილი არა ქვეყნის ინტერესებით, არამედ გარე დაკვეთებით მოქმედებს.

**„ესენი არ არიან საქართველოს გულშემატკივრები, ისინი არიან დაკვეთის შემსრულებლები. მუდმივად ვსაუბრობდი, რომ მათი ლიდერი სალომე ზურაბიშვილი იყო იმიტომ, რომ გარედან დაავალეს. რატომ არ არის დღეს სალომე ზურაბიშვილი? იმიტომ, რომ გარედან დაინახეს, რომ ეს ქალი ამ დავალებას კარგად ვერ ასრულებს. ახლა მათი ლიდერი ნიკა გვარამია იქნება და არც დამალა გვარამიამ. რა თქმა უნდა, შეთანხმება იყო ჩვენს გარე პარტნიორებთან. მეტი რაღა უნდა იცოდნენ ჩვენმა მოქალაქეებმა. მთავარი საკითხია, რომ არ მოვტყუვდეთ ამ დამოკიდებულებაში და ვიბრძოლოთ, როგორც აქამდე ვიბრძოდით“**, – განაცხადა **ყაველაშვილმა.**

პრეზიდენტის ხაზგასმა იმაზე, რომ ზურაბიშვილმა „დავალებას თავი ვერ გაართვა“, მიანიშნებს მმართველი გუნდის რწმენაზე, რომ ოპოზიციური ერთობა ხელოვნურად იმართება. კითხვაზე, თუ რატომ მაინცდამაინც გვარამია, მმართველ წრეებში მიიჩნევენ, რომ მას მეტი რადიკალიზმის რესურსი და მედიაგავლენა აქვს, რაც „გარე ძალებისთვის“ უფრო ეფექტური იარაღია.

## „განიავებული ნდობა და დაგვიანებული რეგიონული ტურნე“

**„ხალხის ძალის“ წევრი, დეპუტატი ეკა სეფაშვილი ოპოზიციის ახალ სტრატეგიას, რომელიც რეგიონებში გასვლას გულისხმობს, სკეპტიკურად უყურებს. მისი აზრით, ოპოზიციასა და ხალხს შორის ნდობის ხიდი საბოლოოდ ჩატეხილია.**

**„ჩემთვის გასაოცარია, რომ რეგიონებში გასვლა მოინდომეს. როგორც ჩანს, მიხვდნენ, რომ ხალხთან ლაპარაკი საჭიროა, რაც დაგვიანებული მგონია, რადგან ხალხის ნდობა, რაც მათ ჰქონდათ, გაანიავეს. თვითონ ეს გაერთიანება ძალიან არაბუნებრივია იმიტომ, რომ როგორც წესი, გაერთიანება მიმდინარეობს**



**რაიმე ღირებულების, იდეის, საერთო მიზნის გარშემო. ამათ არ აქვთ ასეთი ღირებულებითი ერთობა. ერთადერთი, რაც მათ აერთიანებთ, ეს არის გარედან მიღებული საერთო დავალება. სწორედ ამიტომ, არაერთხელ ჩაიშალა მათი მცდელობა“**, – აღნიშნა **სეფაშვილმა.**

დეპუტატის განცხადებით, ოპოზიციის მცდელობა, უცხოეთში საკუთარი თავი „ქართული ოცნების“ ალტერნატივად წარმოაჩინონ, მხოლოდ ქვეყნის რეპუტაციას აზიანებს, რაც საბოლოოდ ეკონომიკასა და საინვესტიციო გარემოზე აისახება

## გვარამიას ფაქტორი და ოპოზიციის გეგმები

**ქართულ მედიაში აქტიურად განიხილება საკითხი, თუ რამდენად სარგებლობს ნიკა გვარამია საზოგადოებრივი ნდობით. კვლევები ხშირად აჩვენებს, რომ მისი პერსონა საზოგადოებაში პოლარიზებულია.**

მიუხედავად მაღალი ცნობადობისა, მისი რეიტინგი რადიკალიზმთან ასოცირდება, რაც ზომიერ ამომრჩეველში უნდობლობას იწვევს. თუმცა, ანალიტიკოსთა ნაწილი მიიჩნევს, რომ დასავლეთში ფსონს მასზე, სწორედ მისი „ორგანიზატორული ნიჭისა“ და კრიზისულ სიტუაციებში მართვის უნარის გამო დებენ. იგი აღქმულია ფიგურად, რომელსაც შეუძლია სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფების კონსოლიდირება გარე დაკვეთის გარშემო.

თავად ოპოზიცია სრულიად განსხვავებულ დღის წესრიგს აანონსებს. „ოპოზიციის ალიანსმა“ უკვე დაიწყო „ეროვნული მობილიზაციის“ კამპანია. მათი განცხადებით, კულმინაცია 26 მაისი იქნება – საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, როდესაც თბილისში, „დიდი ხალხმრავალი აქცია“ იგეგმება.

ოპოზიციონერი ლიდერების თქმით, მათი მიზანია, ქვეყნის ევროატლანტიკური კურსის დაცვა და „ავტორიტარული რეჟიმის“ წინააღმდეგ ხალხის გაერთიანება. საინტერესოა, რომ პირველი გასვლითი შეხვედრები ოპოზიციამ სწორედ საზღვარგარეთ, ევროპულ დედაქალაქებში გამართა, სადაც ისინი მაღალი დონის შეხვედრებზე მხარდაჭერას ითხოვდნენ.

საქართველოს პოლიტიკური პროცესები გადამწყვეტ ფაზაში შედის. მმართველი გუნდისთვის ოპოზიცია „გარე ძალების მარიონეტია“, რომელიც ქვეყნის იმიჯს აზიანებს, ხოლო ოპოზიცია 26 მაისს, საკუთარი ძალების დემონსტრირებისთვის ემზადება. ნიკა გვარამიას ლიდერობა ამ პროცესში ერთგვარი ტესტი იქნება – შეძლებს თუ არა ის იმ ნდობის დაბრუნებას, რომლის „განიავებაზეც“ მმართველი გუნდი საუბრობს, თუ მისი ფიგურა კიდევ უფრო გააღრმავებს არსებულ პოლარიზაციას. ყაველაშვილის პროგნოზით, ეს პროცესები შეიძლება არც არასდროს დასრულდეს, რადგან ეს საქართველოს დღევანდელი „მოცემულობაა“.

## „გვარამიას ლიდერობა „ოცნებისთვის“ საჩუქარია“

**პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე მიმდინარე პოლიტიკურ როტაციასა და ოპოზიციურ ველზე ნიკა გვარამიას გააქტიურებას საკმაოდ კრიტიკულად აფასებს.**

მისი თქმით, სალომე ზურაბიშვილის „თამაშიდან გაყვანა“ ლოგიკური პროცესია, რადგან მან საკუთარი პოლიტიკური და სიმბოლური რესურსი, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე დასავლეთში, პრაქტიკულად, სრულად ამოწურა.

**„უნდა გვესმოდეს, რომ სალომე ზურაბიშვილი დასავლეთისთვის იყო გარკვეული სტაბილურობის სიმბოლო და ერთგვარი ხიდი ევროპულ სტრუქტურებთან, თუმცა მისი რეალური გავლენა ქართულ ამომრჩეველზე ყოველთვის მინიმალური იყო. მან შეასრულა თავისი ფუნქცია – შექმნა ალტერნატიული ცენტრი, მაგრამ როდესაც საქმე გადამწყვეტ მოქმედებებზე, ხალხის ქუჩაში მობილიზებასა და მკვეთრ პოლიტიკურ გარდატეხაზე მიდგა, გამოჩნდა, რომ მისი რესურსი ლიმიტირებულია.**

**დასავლეთშიც და ოპოზიციურ ფლანგზეც მიხვდნენ, რომ ზურაბიშვილი ვერ გახდებოდა ის „ლოკომოტივი“, რომელიც პროცესს ბოლომდე მიიყვანდა. შესაბამისად, მისი გვერდზე გაწევა იყო არა ვინმეს პირადი სურვილი, არამედ პოლიტიკური აუცილებლობა – მათ დასჭირდათ უფრო რადიკალური, მედიაში აქტიური და აგრესიული ფიგურა“**, – აღნიშნავს **ძაბირაძე.**

რაც შეეხება ნიკა გვარამიას, ექსპერტი მიიჩნევს, რომ მისი ლიდერად დასახელება სერიოზულ კითხვის ნიშნებს აჩენს, განსაკუთრებით იმ ფონზე, რომ მას საზოგადოების დიდ ნაწილში მაღალი ნდობა არ გააჩნია.



**„გვარამია, როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი მაღალჩინოსანი, ქართველი ამომრჩევლის დიდი ნაწილისთვის პირდაპირ ასოცირდება იმ წარსულთან, რომლის დაბრუნების შიშიც ჯერ კიდევ ძლიერია. მისი პოპულარობა შემოიფარგლება მხოლოდ რადიკალური ოპოზიციური სპექტრით. ავტორიტეტი, რომელიც ფართო საზოგადოებრივ ფენებს მოიცავს, მას არ აქვს. ამიტომ, ჩნდება კითხვა: რატომ დადეს ფსონი მასზე? როგორც ჩანს, დასავლეთშიც და ოპოზიციაშიც თვლიან, რომ ახლა არა ინტელექტუალური ან რეიტინგული ლიდერი, არამედ კარგი ორგანიზატორი და „ბრძოლისუნარიანი“ პერსონაა საჭირო, რომელიც არ მოერიდება მწვავე დაპირისპირებას.**

**თუმცა, რეალურად, გვარამიას ლიდერობა ყველაზე მეტად „ქართულ ოცნებას“ აძლევს ხელს. ხელისუფლებისთვის ეს არის იდეალური შანსი, რომ მთელი ოპოზიციური სპექტრი კვლავ „ნაციონალურ მოძრაობასთან“ და მის წარსულთან გააიგივოს“**, – ამბობს ანალიტიკოსი.

მისივე თქმით, როდესაც ოპოზიციის სათავეში გვარამია დგას, მმართველ გუნდს უადვილდება ამომრჩევლის დარწმუნება, რომ ალტერნატივა არის არა განვითარება, არამედ რევანში.

**„გვარამიას რესურსი მხოლოდ ხმაური და მედია-ეფექტებია, რაც სტაბილურ ამომრჩეველს ვერ მოიზიდავს. პირიქით, ეს შეიძლება გახდეს მიზეზი იმისა, რომ საშუალო, მერყევი ამომრჩეველი კვლავ სახლში დარჩეს, ან „ოცნების“ მხარეს გადაიხაროს, რათა თავიდან აიცილოს გვარამიასნაირი რადიკალური ფიგურების ხელისუფლებაში მოსვლა“**, – აცხადებს **ვახტანგ ძაბირაძე.**

**ლიკა ბერიკაშვილი**

# ელექტროენერგიის გაძვირების გამო, მეწარმეები ფასების გაზრდას აპირებენ




**ბიზნესის ნაწილი არ გამორიცხავს, რომ ელექტროენერგიის ტარიფის ზრდის გამო, პროდუქციის გაძვირება მოუწიოს. ადგილობრივი წარმოება ფასების შესაცვლელად ემზადება. აღდგომის შემდეგ ბევრი პროდუქტის და მომსახურების გაძვირება იგეგმება.**

**როგორც პურ-ფუნთუშეულისა და საკონდიტრო პროდუქციის მწარმოებელი კომპანიის „ემზისი ჯორჯიას“ დირექტორმა აღნიშნა, მათ წარმოებაში მნიშვნელოვანი წილი უჭირავს ელექტროენერგიას, თუმცა უფრო მნიშვნელოვნად ბუნებრივ აირზე არიან დამოკიდებული.**

**ალექსანდრე რაზიშვილის** თქმით, კომპანიებმა უნდა გადათვალონ, რამდენით გაეზრდებათ დენის გაძვირების შედეგად ხარჯები და ინდივიდუალურად გადაწყვიტონ, მოუწევთ თუ არა პროდუქციის გაძვირება.

პარალელურად ირკვევა, რომ აღდგომის დღესასწაულის შემდეგ, შესაძლოა, საქართველოში კვერცხი გაძვირდეს.

მეფრინველეობის განვითარების ასოციაციის ხელმძღვანელის, **ზურაბ უჩუმბეგაშვილის** ინფორმაციით ქვეყანაში ძვირდება კვერცხის თვითღირებულებაში შემავალი კომპონენტები, როგორებიცაა საწვავი და ელექტროენერგია, რაც საბოლოო ფასზე გავლენას მოახდენს.

**„ტარიფების ზრდა, რა თქმა უნდა, ნეგატიურ გავლენას მოახდენს ჩვენზეც. ელექტროენერგიას მნიშვნელოვნად მოვიხმართ. მოგეხსენებათ, ქათამს სჭირდება საკვები, რომელის მომზადებაც ადგილზე ხდება. ძირითადად, ეს მოიცავს ხორბლის, სიმინდისა და მარცვლეულის დაფქვას. ჩვენი მხრიდან ელექტროენერგიის გამოყენება საკმაოდ ინტენსიურია. შესაბამისად, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ფასში ისახება. ელექტროენერგიის ტარიფის გაძვირება ჯაჭვური რეაქციით აბსოლუტურად ყველა სფეროს შეეხება. რესტორატორთა ასოციაციის პრეზიდენტი კოტე გაბრიჩიძე პირდაპირ ამბობს, რომ მათ შორის, გაძვირდება რესტორნების მენიუც.**

**„გაგვახარა მთავრობამ დენის ტარიფის გაზრდით. რატომ გაზარდეს ტარიფი? დოლარისა და ევროს კურსი, ფაქტობრივად, იაფდება. წესით, უნდა გაიაფებულიყო ელექტროენერგია ამ პერიოდში და უცბად, ჰოპ – გაგვიძვირეს! იმედი მაქვს, სუს-ი კარგად გამოიკვლევს და დადებს ინფორმაციას, რატომ მოხდა ამ პერიოდში დენის ტარიფის მოულოდნელი ზრდა. არაფერი დრამატული არ ხდება და რას უნდა დააბრალო დენის ტარიფის გაზრდა? რა ხდება, ხალხო, აგვიხსენით, რის გამო მოხდა ეს?“,** – განაცხადა **გაბრიჩიძემ.**

მისივე თქმით, მოსახლეობას ძალიან გაუჭირდება კომუნალურების გადახდა და იმავე პროდუქტის შეძენა, რასაც დენის ტარიფის გაძვირებამდე ყიდულობდა.

**„ადვილი მისახვედრია, რომ ამას მოჰყვება კიდევ რაღაცების გაძვირება, რადგან ელექტროენერგიაზეა დაფუძნებული, თუნდაც წყალი. რასაკვირველია, ყველა ვარიანტში შედეგი იქნება ის, რომ სპირალი დატრიალდება და ყველაფერი გაძვირდება. ადამიანი, რომელიც გუშინ ხელფასს – 1000 ლარს იღებდა, აღმოჩნდება, რომ უკვე ვეღარ ყიდულობს, რასაც მანამდე ყიდულობდა, ვეღარ იხდის გადასახადებს...**

# საქართველოში გეოლოგიური კვლევების დაწყებიდან 185 წელი გავიდა

**გუშინ, 5 აპრილს გეოლოგის პროფესიული დღე აღინიშნა. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ ნინო თანდილაშვილმა და გარემოს ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა ელენე ღუბიანურმა გეოლოგიის დეპარტამენტის სპეციალისტებს პროფესიული დღე მიულოცეს და დარგის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის მადლობის სიგელები გადასცეს.**

გარემოს ეროვნული სააგენტოს ცნობით, საქართველოში გეოლოგის პროფესიული დღე 1966 წლიდან აღინიშნება.

**„პირველი გეოლოგიური სამუშაოები 1841 წლით თარიღდება, ხოლო საველე გეოლოგიური კვლევები და პირველი ნაშრომები 1843 წელს გამოქვეყნდა. მას შემდეგ დარგი მუდმივად ვითარდება.**

**გეოლოგია გარემოს ეროვნულ სააგენტოში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგობრივი მიმართულებაა. დღეისათვის, სააგენტოს სპეციალისტების მიერ ხორციელდება გეოლოგიური საფრთხეების (მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავი-ქვათაცვენა) მონიტორინგი, ასევე, ბუნებრივი საფრთხეების ექსტრემალური გააქტიურების პირობებში, ტერიტორიის ოპერატიულად შეფასება, სტიქიური გეოლოგიური პროცესების გამომწვევი მიზეზების დადგენა, გასატარებელი დამცავი ღონისძიებების შესახებ რეკომენდაციების მომზადება, სახელმწიფო გეოლოგიური რუკების შედგენა და მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლების მონიტორინგი.**

**აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში, საქართველოს ტერიტორიაზე მონიტორინგული სისტემების ქსელის მოწყობის მიზნით, აქტიურად მიმდინარეობს მეწყრულ უბნებზე თანამედროვე აპარატურის ინსტალაცია, ასევე სატელიტური გამოსახულებების დამუშავება (InSAR ტექნოლოგია). გეოლოგიის მიმართულებით აქტიურად ხორციელდება სახელმწიფო გეოლოგიური რუკების შედგენა-განახლება და მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლების მონიტორინგი“.**

# პლასტმასის ერთჯერადი ჭურჭლის აკრძალვამ ბიზნესი უკვე დააზარალა

**მთავრობის გადაწყვეტილებით, 2026 წლის 1 აპრილიდან პლასტმასისგან დამზადებული ჩანგლების, დანების, კოვზების, ჩხირების, თეფშების, საწრუპების, სასმლის მოსარევების, ასევე გაფართოებული პოლისტიროლისგან დამზადებული სასურსათო კონტეინერების და მათი თავსახურების, ჭიქების და მათი თავსახურების რეალიზაცია აიკრძალა. აღნიშნული პროდუქციის იმპორტი და წარმოება 2026 წლის 1 იანვრიდან უკვე აკრძალულია.**

**ბიზნესის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ აკრძალვამ მათ სერიოზული ფინანსური ზარალი მიაყენა. კომპანიებს მარაგების სრულად ამოყიდვის შესაძლებლობა არ მიეცათ. ახალმა რეგულაციებმა უკვე გამოიწვია ადგილობრივი წარმოების გაჩერებაც.**

ბიზნესსექტორი უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამოც, რომ ხელისუფლებამ მათი თხოვნა ვადების გადაწევასთან დაკავშირებით არ გაითვალისწინა. მეწარმეები ითხოვდნენ, რომ რეალიზაციის უფლება გაზაფხულის სეზონის ბოლომდე, კერძოდ 1 ივნისამდე ან ივლისამდე გაგრძელებულიყო, რათა დაგროვილი მარაგების ამოყიდვა მოესწროთ.




**„მარაგი მიდევს საწყობში, ზარალი ალბათ 200-300 ათასი ლარის თვითღირებულებით პროდუქციაა, რაც მარტო პლასტმასს შეეხება. თუმცა, რაც უნდა ჩანაცვლებულიყო ხით, თუ დაპრესილი მუყაოთი, ეს დანა-ჩანგალი ან თეფში, იმ მოვალეობას ვერ ასრულებს, რასაც პლასტმასი ასრულებს. ამიტომ მოთხოვნა ბაზარზე ჯერჯერობით არ არის. ერთადერთი, რაც ამუშავდა, არის ის რომ პლასტმასის ჩხირი ჩაანაცვლა ხის მოსარევმა ჩხირმა. სამი კომპანია რომ დაიხურა, ზუსტად ვიცი, ვთანამშრომლობდით და ერთმანეთს რეალიზაციაში ვეხმარებოდით. დაიხურა სამი, „აწარმოე საქართველოში“ სესხით დაფუძნებული კომპანია.**

**არ გაითვალისწინეს ჩვენი თხოვნები, თუნდაც ვადებთან დაკავშირებით, ვიცოდი, რომ 1 ივნისამდე გვექნებოდა ვადა რეალიზაციის. პირადად ყველა მინისტრს ვთხოვე, გადაწიეთ ივნისამდე, ივლისამდე მაინც, რომ სეზონზე პროდუქციის რეალიზაცია მოგვეხდინა. ამაში ფული გადავიხადეთ, შემოვიტანეთ და მაინც ისე მოხდა, რომ ჩვენი თხოვნა ყურად არ იღეს“,** – განაცხადა „ლანჩ გრუპის“ გენერალურმა დირექტორმა **ნინო მელაძემ.**

რითეილ ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე სოფო ქაშაკაშვილი კი ვაჭრობის სექტორში შექმნილ პრობლემებზე საუბრობს. ის ინფორმაციის არასწორად მიწოდებასა და აღქმაზე ამახვილებს ყურადღებას.

**„გაფართოებულ შეხვედრაზე სამინისტროსთან ყველამ ისე გავიგეთ, რომ გვეკრძალებოდა მხოლოდ პლასტიკის შეფუთვით მზა საკვების გაცემა. ვიცოდით, რომ ჭურჭლის სექციიდან რეალიზება (ერთჯერადი სახით და არა შეფუთვით) დაშვებული იქნებოდა. როგორც ჩანს, არასწორად გავიგეთ ან კარგად არ აგვიხსნეს, რადგან 20-მა ადამიანმა იცოდა ეს ნაწილი ერთნაირად. ერთადერთი, რაც ჯერჯერობით დასაშვები იქნება, პლასტიკის ერთჯერადი ჭურჭელი და კონტეინერებია. დანარჩენი – დანა, ჩანგალი, პოლისტიროლისგან დამზადებული ჭიქა, ჭიქის თავსახურები, მოსარევი ჩხირები, თეფშები და ა.შ. ყველაფერი აიკრძალა.**

**ეს ძალიან დიდი გამოწვევა გახდა ჩვენთვის. სხვანაირად ვიყავით მომზადებულები. გვეგონა, რომ ნაშთების რეალიზაციის საშუალება დახლებიდან მაინც მოგვეცემოდა. ალბათ, საბოლოო ჯამში, ეს პროდუქცია განადგურებას დაექვემდებარება, რაც რასაკვირველია, ზარალს მოგვიტანს. ივლისიდან, როცა კონტეინერებიც აიკრძალება, ეს ჩვენთვის კიდევ ერთი დამატებითი გამოწვევა იქნება“,** – განაცხადა **სოფო ქაშაკაშვილმა** „ბიზნესპრესნიუსთან“.

ცვლილებები აისახება პროდუქციის ფასის ზრდაშიც, თუმცა რითეილ ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე ჯერჯერობით დაზუსტებით ვერ ამბობს, კონკრეტულად, რას მოიტანს საფასო კუთხით ახალი რეგულაცია.

**„რა თქმა უნდა, ალტერნატიული მასალა ფასსაც გაზრდის. რაღაც სახის ასახვა აუცილებლად იქნება, რადგან ბამბუკი, მუყაო და ა.შ. უფრო ძვირადღირებული მასალებია. ყველა ქსელს ინდივიდუალური არჩევანის მიხედვით აქვს ალტერნატიული მასალები შერჩეული. დრო დასჭირდება და გარკვეული პერიოდის შემდეგ იქნება უფრო შესაძლებელი ზუსტი დაანგარიშება იმის, თუ ფასებთან მიმართებაში, რა ცვლილებები იქნება. თუ მომხმარებელს ჩვენთან მზა საკვების შეძენისას, ერთჯერადი შეფუთვა პირობითად, 2 თეთრი უჯდებოდა, ახლა შესაძლოა, 7 თეთრი დაუჯდეს. თუმცა, ამას ზუსტი დათვლა სჭირდება“,** – აღნიშნა **ქაშაკაშვილმა.**

ბექა დანელია



1962 წელს ჟურნალი „კურიერ იუნესკო“ წერდა: ფიროსმანის შემოქმედება სცილდება საქართველოს საზღვრებს, დიდი ნიჭისა და ჰუმანურობის გამო ფიროსმანი მთელ კაცობრიობას ეკუთვნის.

XX საუკუნის 80-იან წლებში ახლად აღმოჩენილი საარქივო მასალების მიხედვით ნიკო ფიროსმანის დაბადების თარიღად აღიარებულია არა 1862 წელი, როგორც ეს სავარაუდოდ მიაჩნდათ, არამედ 1866 წელი. ამის საფუძველია ჟურნალისტ ნელი კობიაშვილის მიერ საავტორო სატელევიზიო ციკლის ჩვენ ვეძებთ ფიროსმანს მომზადებისას ჩატარებული კვლევები და საარქივო მასალების ღრმა ანალიზი. ეს ნაშრომი იმთავითვე გაიზიარეს და ოფიციალური დოკუმენტით დაასაბუთეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებმა, ხელოვნებათმცოდნეებმა, გ. ჩუბინაშვილის სახელობის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებმა.

პირადად ისეთმა ავტორიტეტულმა მეცნიერებმა, როგორებიც არიან მარიკა ლორთქიფანიძე, ვახტანგ ბერიძე, პარმენ ზაქარაია, გოგი ხოშტარია და სხვები.

1989 წელს გადაწყდა, 1991 წელს ფიროსმანის იუბილეს 125 წლის აღნიშვნა, შეიქმნა საიუბილეო კომისია, სამოქმედო პროგრამა, რაც ცნობილი მოვლენების გამო ვერ განხორციელდა.

2026 წელს ნიკო ფიროსმანაშვილს 160 წელი უსრულდება, ეს კი შესაძლებლობას გვაძლევს, სათანადოდ აღინიშნოს გენიალური მხატვრის იუბილე. საგულისყუროა, რომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ, 2025 წლის 3 დეკემბერს სპეციალურად მიმართა კულტურის სამინისტროს დიდი ნიკო ფიროსმანის საიუბილეო თარიღის აღნიშვნის შესახებ.

დღეს გთავაზობთ ფიროსმანის დაბადების თარიღთან დაკავშირებულ სამეცნიერო კვლევის შემოკლებულ ვერსიას.



# მარტოსული გენიის შემოქმედება – მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის საგანძური

## ნიკო ფიროსმანი — 160 წლისთავის აღნიშვნის შესახებ

**ნიკო ფიროსმანაშვილზე პირველი ბიოგრაფიული ცნობები დაიბეჭდა 1922 წელს გაზეთ „ბახტრიონში“ (N8), რომელიც მთლიანად ნიკო ფიროსმანაშვილს მიეძღვნა და იგი გიორგი ლეონიძის რედაქტორობით გამოვიდა.**

**„როცა ამ ნომერს ვამზადებდი“, – წერდა პოეტი მოგვიანებით, – „გამოირკვა, რომ არც ერთმა მხატვარმა არ იცოდა მისი ბიოგრაფიიდან არაფერი, ზდანევიჩების გარდა, გვერი შრომა დამჭირდა“.**

გაზეთის „მინაწერში“ ვკითხულობთ: „ნიკო ფიროსმანაშვილი დაიბადა 1860-1868 წლებში, კახეთში. 8 წლიდან თბილისში ცხოვრობდა“.

მე-20 საუკუნის 20-იან წლებში ფიროსმანთან დაკავშირებული არც ერთი საარქივო დოკუმენტი არ იყო აღმოჩენილი. არსებობდა მხოლოდ ილია ზდანევიჩის დღიური, რომელშიც არაფერია ნათქვამი მხატვრის დაბადების თარიღის შესახებ. როგორც ჩანს, რედაქცია ეყრდნობოდა ნიკოს უფროსი დის – ფეფე ბარამაშვილის მოგონებას, რომელიც ოდნავ მოგვიანებით ამავე გაზეთის მეათე ნომერში გამოაქვეყნეს:

„მე ნიკალას და ვარ... ასე 57 წლისა ვიქნები და მასზე 2-3 წლით უფროსი ვარ“.

**გაზეთ „ბახტრიონის“ მერვე ნომერში აღნიშნული წლები –** 1860-1868, **ალბათ, ფეფეს ასაკის გათვალისწინებით მიუთითეს.**

ფიროსმანზე ტელეგადაცემის მომზადებისას მრავალი, ერთმანეთის საწინააღმდეგო ვერსიის არსებობამ საქართველოს სახელმწიფო საისტორიო არქივში მხატვრის ცხოვრებასთან დაკავშირებული საარქივო დოკუმენტების ორიგინალში ნახვის აუცილებლობაზე მიმანიშნა. და აი, ჩემს ხელთაა ჩანაწერი, რომელმაც ჯერ კიდევ 60-იან წლებში საკმაო აჟიოტაჟი და ვნებათაღელვა გამოიწვია ფიროსმანის ბიოგრაფიის მკვლევართა შორის. 1873 წლის კამერალური აღწერის წიგნში ჩაწერილია, რომ ნიკოლოზ ასლანის ძე ფიროსმანაშვილი, 22 წლისა, გამოტოვებული იყო კამერალური აღწერისას. შემდეგ გრაფაში წერია: „ამორიცხულია ამა სოფლიდან თბილისში გადარიცხვის გამო“. საქმე 337, 1885 წელი“ (საარქივო ფონდი 2543, 280, გვ. 115).

როგორც აღმოვაჩინე, ჩანაწერი 1873 წლის კამერალური აღწერის წიგნშია, მაგრამ დათარიღებულია 1885 წლით და არა 1873 წლით. ესე იგი, ჩანაწერი გაკეთდა კამერალური აღწერიდან 12 წლის შემდეგ, 1885 წელს, რომელიც მკვლევრებს უყურადღებოდ დარჩათ.



დავუბრუნდეთ შეკითხვას, რომელ წელს იყო ნიკო ფიროსმანაშვილი 22 წლის – კამერალური აღწერის წელიწადს, 1873-ში თუ 1885 წელს?

ამ საიდუმლოს გასაღები კი, თურმე, იქვე, სამი გვერდის შემდეგ, წიგნის გაგრძელებაში ყოფილა.

დღემდე უცნობი, ერთი შეხედვით, თითქოს უმნიშვნელო ჩანაწერი, რომელიც ნიკოს დის – ფეფე ბარამაშვილის ოჯახის შესახებ გვაწვდის ცნობებს: „ბარამაშილი ივანე 40 წლის, ცოლი მისი ფეფე 37 წლის, შვილები, ნიკოლოზ, გიორგი, ღვთისავარ, თამარა, ანა“ (საქმე 224-1901 წ. ფონდი 2543. 280, გვ. 118. ჩანაწერი რუსულ ენაზე).

ფეფე ნიკოს დაა, მასზე 2-3 წლით უფროსი, ივანე ბარამაშვილზე გათხოვილი. გავიხსენოთ 1922 წლის ( 10) გაზეთი „ბახტრიონი“. ნიკოს ბიოგრაფიისთვის, კერძოდ, მისი დაბადების თარიღის დასადგენად, ზედმეტი არ იქნებოდა ფეფეს დაბადების წელიწადი გვცოდნოდა. არსებული მასალების საშუალებით, ვფიქრობ, ამის დადგენაც შეიძლება.

**ამ წერილში რამდენჯერმე ვუბრუნდები დოცენტ მამია ჩორგოლაშვილის მიერ 1979 წლის 17 იანვრის გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ ახალ საარქივო დოკუმენტებს.**

**აი, კიდევ ერთი მათგანი – „სიღნაღის მაზრის სოფელ მირზაანის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის მეტრიკული წიგნის ჩანაწერი, რომ 1863 წლის მარტში, „ამავე უეზდის სოფლის მირზაანის მცხოვრებ სახაზინო გლეხს ასლან კიკოს ძე ფიროსმანაშვილს და მის სჯულიერ ცოლს თეკლე იოვეს ქალს, ორნივე მართლმადიდებელი სარწმუნოების აღსარებისანი, შეეძინათ ქალი ნატალია. ნათლია იმავე სოფლის გლეხის მალხაზ ბენაშვილის მეუღლე ირინე. ნათლობის წესი აღასრულა და წიგნში ჩანაწერი შეიტანა მღვდელმა ზაქარია გომელაურმა (ჩანაწერი ქართულ ენაზე).**

შევადაროთ ერთმანეთს ჩანაწერები ნატალიას დაბადებისა და ფეფე ბარამაშვილის შესახებ.

1863 წელს დაბადებული ადამიანი 1901 წელს, სწორედ 37-38 წლისა იქნებოდა. მონაცემები თითქოს ემთხვევა, მაგრამ, მაინც კიდევ ერთხელ გადავათვალიეროთ გაზეთ „ბახტრიონის“ 1922 წლის მეათე ნომერი. მომყავს ფრაგმენტი ფეფე ბარამაშვილის მოგონებიდან.

**– მე ნიკალას და ვარ, 57 წლისა ვიქნები და მასზე 2-3 წლით უფროსი ვარ. ფიროსმანაშვილები აქ, მირზაანში ვცხოვრობთ, 40 კომლამდე ვიქნებით. თვითონ ვანო ბარამაშვილზე ვარ გათხოვილი. ქმარი ცოცხალი არა მყავს. მყავს ორი ვაჟი და ოთხი ქალი“.**

1863 წელს დაბადებული ადამიანი, 1922 წელს, დაახლოებით, 58-59 წლისა იქნებოდა, რადგან ფეფე ბარამაშვილისა და ნატალიას ასაკი ემთხვევა, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ფეფე და ნატალია ერთი და იგივე პიროვნებაა.

**კიდევ ერთი მოგონება, რომელიც 1919 წლის მაისში გამოაქვეყნა გაზეთმა „ერთობამ“: – „პირები, რომლებიც იცნობდნენ მას, ამბობენ, რომ შარშან 50 წელს გადასცდენია“.**

**ჯერ კიდევ 1922 წელს, ხოლო შემდეგ – 1931 წელს, გიორგი ლეონიძე წერს: „ფეფეს აზრით, ნიკო დაბადებულია 1866-67 წლებში“.**

ნიკოს უფროსი დის – ფეფეს მოგონება, გამოქვეყნებულია 1922 წელს გაზეთ „ბახტრიონში“, ვფიქრობ, იმთავითვე უფრო მეტად საყურადღებო უნდა ყოფილიყო.

მეორე მოგონებაში, რომელიც აგრეთვე, დაიბეჭდა 1922 წელს გაზეთ „ბახტრიონში“ ნინო თათარაშვილის ავტორობით, ფეფე აღნიშნავს, რომ იგი თავის ძმაზე – ნიკოზე, 3-4 წლით უფროსია. ამიტომ და-ძმას შორის ჩვენ ავიღეთ საშუალო 3 წელი.

ახლა კიდევ რამდენიმე საარქივო ჩანაწერზეც შევჩერდები, რომლებიც, ჩემი აზრით, ერ-



თმანეთს განმარტავს და ამით ფიროსმანის ბიოგრაფიის მანამდე უცნობ ფურცლებს ავსებს.

ცნობილია, რომ ნიკო ფიროსმანაშვილი 12 წლის ასაკიდან თბილისში ცხოვრობდა („ბახტრიონი“, 1922 წელი, N23, „დროშა“, 1926 წელი, N5. ფეფე ბარამაშვილისა და ქალანთაროვების ოჯახის წევრთა მოგონებები). ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ სოფელ მირზაანის საეკლესიო მეტრიკული თუ კამერალური აღწერის წიგნებში, იგი არსად არის ნახსენები.

მაშ, რატომ გაახსენდა იგი 1885 წელს სიღნაღის მაზრის სოფელ მირზაანის კანცელარიის მოხელეს, როდესაც 1873 წლის კამერალური აღწერის დამატებაში „გაატარა“ და აღნიშნა, რომ „ნიკოლოზ ასლანის ძე ფიროსმანაშვილი ამორიცხულია ამა სოფლიდან ქალაქ ტიფლისში გადარიცხვის გამო“ ?

ვფიქრობ, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეუძლია ერთ-ერთ საბუთს იმ საინტერესო მასალებიდან, რომელზეც უკვე გვქონდა საუბარი.

**ეს გახლავთ დოცენტ მამია ჩორგოლაშვილის მიერ 1979 წლის 17 იანვრის გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული მასალები: „ჩვენ მოვიკვლიეთ საარქივო დოკუმენტი, რომლის თანახმადაც, გზის უფროსის 1888 წლის 28 დეკემბრის N160 ბრძანებით, „უკიდურესი უხეშობისთვის“ ამიერკავკასიის რკინიგზის მოძრავი შემადგენლობისა და წევის სამსახურის დარაჯი ნიკო ფიროსმანაშვილი 17 ნოემბრიდან გაუთავისუფლებიათ სამსახურიდან (ფონდი 279, N1, საქმე 158). „სამწუხაროდ“, – განაგრძობს ავტორი, – „ჯერ ვერ დგინდება, რკინიგზაზე მისი მუშაობის დაწყების თარიღი“.**



ფაქტია, რომ ნიკომ რკინიგზაზე მუშაობა დაიწყო არა 1890 წელს, როგორც ეს ადრე იყო ცნობილი, არამედ გაცილებით ადრე, სამხატვრო სახელოსნოს დაკეტვისთანავე, ე. ი. 1884 ან 1885 წელს“ (ორი წელი ჰქონდა სახელოსნო გიგო ზაზიაშვილთან ერთად).

მამია ჩორგოლაშვილის ეს მოსაზრება სავსებით დამაჯერებელია. ამის დამადასტურებელია 1873 წლის კამერალური აღწერის დამატებაში არსებული 1885 წლით დათარიღებული ჩანაწერი.

აი, პასუხი იმაზე, თუ რატომ გაახსენდა ფიროსმანაშვილი სიღნაღის მაზრის სოფელ მირზაანის კანცელარიის მოხელეს 1885 წელს.

ვფიქრობ, ამიერკავკასიის რკინიგზაზე სამუშაოდ მოწყობას სათანადო საბუთები ესაჭიროებოდა. რა უნდა ჰქონოდა წლების მანძილზე სხვის კარზე მცხოვრებ ადამიანს?! ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ ნიკომ მშობლიურ სოფელს საჭირო საბუთისთვის მიაშურა. დაბადების მეტრიკული ამონაწერი, ალბათ, მაშინაც არ მოინახა სოფელ მირზაანის საეკლესიო წიგნებში, ცნობა გასცეს ასეთი ფორმით: „ამოირიცხა სოფელ მირზაანიდან ქალაქში გადარიცხვის გამო“ და გაატარეს წიგნში მის მიერ აღნიშნული ასაკი.

კიდევ ერთი დეტალი.

**გიგო ზაზიაშვილის მოგონებიდან ცნობილია, რომ მან 1882 წელს გაიცნო ფიროსმანი და მალე მასთან ერთად გახსნა სამხატვრო სახელოსნო ველიამინოვის ქუჩაზე, რომელიც მალე დაიხურა შეკვეთების უქონლობის გამო („მნათობი“, 1931, 3, გ. ლეონიძე).**

ე. კუზნეცოვის აზრით, ლიტერატურაში არსებული სამხატვრო სახელოსნოს გახსნის თარიღები ან 1888, ხან კი 1884 წელი არ უნდა იყოს სწორი – რადგან, 1868 წელს დაბადებული ზაზიაშვილი იმ დროს ძალიან ახალგაზრდა იყო და კომპანიონად არ გამოდგებოდაო. ე. კუზნეცოვი აღნიშნავს, რომ ამ ორი თარიღიდან 1884 უფრო სარწმუნოა (ე. კუზნეცოვი. „ფიროსმანი:, 1975 წ., გვ. 11.). თუმცა, მისივე აზრით, სამხატვრო სახელოსნოს არსებობა უფრო 1888-1889 წლებს განეკუთვნება, ანუ ვიდრე ნიკო რკინიგზაზე დაიწყებდა მუშაობას. დღეს ეს მოსაზრება მოძველებულია. ზემოთ ხსენებული 1888 წლის ამიერკავკასიის რკინიგზის საარქივო მასალების აღმოჩენის გამო, საიდანაც ირკვევა, რომ 1888 წელს ნიკო უკვე გაათავისუფლეს სამსახურიდან (შემდეგ იგი კვლავ აღიდგენს თავს).

ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ ველიამინოვის ქუჩაზე გიგო ზაზიაშვილისა და ნიკო ფიროსმანაშვილის სამხატვრო სახელოსნოს გაუქმების შემდეგ, ნიკომ ვინმე გეზერნიძესთან განაგრძო თანამშრომლობა.

გიგო ზაზიაშვილის ქალიშვილის თამარის მიერ ამას წინათ მოწოდებული მასალებიდან გამოირკვა, რომ ზაზიაშვილის შემდეგ ნიკოს კომპანიონი ყოფილა არა გეზერნიძე, არამედ ვინმე ჟიდკოვსკი, წარმოშობით პოლონელი.

გამოირკვა, აგრეთვე, რომ გიგო ზაზიაშვილი სამხატვრო სახელოსნოს დახურვიდან ერთი წლის შემდეგ, 1887 წელს, დროებით სომხეთში წასულა სამუშაოდ.

ეს ცნობა მნიშვნელოვანია იმით, რომ იგი მიახლოებით მიგვანიშნებს სამხატვრო სახელოსნოს დახურვის წელიწადს (1885-1886).

რადგან ვიცით, რომ 1888 წელს ნიკოს უკვე ათავისუფლებენ სამსახურიდან, ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ მან რკინიგზაზე მუშაობა დაიწყო სახელოსნოს დახურვის შემდეგ (აქვე უნდა გვახსოვდეს, რომ 1885 წელს ნიკო სოფელ მირზაანის კამერალური აღწერის წიგნშია გატარებული, როგორც „ქალაქში გადაწერილი“).

**თუ სახელოსნო 1885-1886 წლებში დაიხურა, სავარაუდოა, რომ იგი დაახლოებით 1884 წელს გაიხსნა (მოგონებების თანახმად, სახელოსნომ ერთი წელი იარსება). ამ დროს ნიკო 18 წლისაა, ხოლო 1868 წელს დაბადებული ზაზიაშვილი კი 16 წლისა იქნებოდა.**

**შესაძლოა, სახელოსნო ცოტა ადრეც გახსნეს. გიგო ზაზიაშვილი ძალიან ადრე დაობლდა და იძულებული იყო, როგორც ასაკით უფროსს, თავისი მრავალრიცხოვანი და-ძმა ერჩინა.**

ახლა მოვიგონოთ ნიკოს დის – ფეფეს სიტყვები: „8 წლის ნიკო ჩემმა სიძემ ალექსიმ წაიყვანა თბილისში და მიაბარა პურის ჭამაზედ სამხედრო პირს გვარად ქალანთაროვს. მასთან დარჩა 16 წლამდე“ („ბახტრიონი“, 1922 წელი, N23).

1926 წელს ვ. ბუთლიაშვილთან საუბრისას ქალანთაროვებმა აღნიშნეს, რომ ნიკომ 22 წლის ასაკში დატოვა მათი ოჯახი. ქალანთაროვების ოჯახში აღმოჩნდა ნიკოს ახალგაზრდობისდროინდელი ფოტოსურათი, მათივე თქმით, გადაღებული, ოჯახიდან საბოლოოდ წასვლის წინ (ჩემი აზრით, ნიკომ ქალანთაროვები გაცილებით ადრე დატოვა).

ანთროპოლოგი, პროფესორი მალხაზ აბდუშელიშვილი ვარაუდობს, რომ ამ ფოტოზე ნიკო დაახლოებით – 16, ხოლო 1916 წელს გადაღებულ სურათში კი, დაახლოებით 50 წლისაა, რაც უახლოვდება ჩემს მოსაზრებას ნიკოს დაბადების თარიღის შესახებ.

კვლავ დავუბრუნდეთ ფეფე ბარამაშვილის მოგონებას: „ნიკო 7-8 წელი მსახურობდა რკინიგზაზე, მაგრამ ავად გახდა. სამსახურს თავი დაანება და ღვინის პადვალი გახსნა“.

ზოგიერთი მოგონებიდან ცნობილია, რომ ნიკომ ჯერ სარძევე გახსნა ვერაზე (ზემელის კუთხეში), ხოლო შემდეგ ღვინის სარდაფი, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენთვის საყურადღებოა ფეფეს მიერ აღნიშნული რკინიგზაზე მუშაობის წლები: „7-8 წელი“. ნიკოს დის სიტყვებს უკვე მეტი მნიშვნელობა ეძლევა, რამეთუ იგი ემთხვევა მამია ჩორგოლაშვილის მიერ აღმოჩენილ დოკუმენტს, 1888 წელს ნიკოს სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ, რაც მიგვანიშნებს, რომ რკინიგზაზე მუშაობამ დაახლოებით 7-8 წელიწადს გასტანა.

როგორც ცნობილია, 1894 წელს ფიროსმანაშვილი საბოლოოდ გაათავისუფლეს სამსახურიდან და შეიტანეს სიაში იმ პირებთან ერთად, რომლებსაც ამიერკავკასიის რკინიგზაზე მუშაობა საერთოდ ეკრძალებოდათ. ხოლო მანამდე, 9 წლით ადრე, 1885 წელს, ნიკო სიღნაღის მაზრის სოფელ მირზაანის კამერალური აღწერის წიგნშია გატარებული, როგორც „სოფლიდან ამორიცხული ქალაქში გადარიცხვის გამო“.

ე. წ. რკინიგზაზე მუშაობის წლები, ფეფეს მოსაზრების გათვალისწინებითაც, სწორედ ამ ორ თარიღს შორის უნდა ვივარაუდოთ.

**ასე და ამგვარად, ზემოთ მოყვანილი საარქივო მასალებითა და თანამედროვეთა მოგონებებთან მათი შედარების საფუძველზე, შევეცადეთ შეძლებისდაგვარად დაგვეზუსტებინა ნიკო ფიროსმანის ცხოვრების პირველი პერიოდის მნიშვნელოვანი თარიღები.**

**„ეროვნული საქმე ხალხშია, ხალხშია ფიროსმანი, ჩვენ ვერ ვისვენებთ, ვეძებთ ფიროსმანს“ – ეს სიტყვები გიორგი ლეონიძემ გვიანდერძა.**



**ნელი კობიაშვილი,**

ჟურნალისტი,
ფიროსმანის ცხოვრებისა და შემოქმედების მკვლევარი



# ირაკლი ფარჯიანის გამოფენა – „იდუმალი სხივი“

**7 აპრილს, 18:00 – 20:00, ხარების დღესასწაულზე, ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმში ირაკლი ფარჯიანის გამოფენა – „იდუმალი სხივი“ გაიხსნება და მაისის ბოლომდე გაგრძელდება.**

ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმის ინფორმაციით, ექსპოზიციაზე პირველად გამოდის მუზეუმის ფონდიდან ირაკლი ფარჯიანის უმნიშვნელოვანესი ხუთი ნამუშევარი, მათ შორის განსაკუთრებულია მასშტაბური ზომის „ხარება.“

გამოფენაზე წარმოდგენილია იშვიათი ნამუშევრები მხატვრის ოჯახის მემკვიდრეობიდან, ასევე დიდი ნაწილი ეკუთვნის ირაკლის მეგობარს და კოლექციონერს არჩილ დარჩიას. ექსპოზიციაზეა გამოტანილი თამარ ხუნდაძის და ნაირა გელაშვილის უნიკალური პორტრეტებიც.

სელექცია ქრონოლოგიური პრინციპით აგებს თხრობას, რაც გულისხმობს 1970-იანი წლების ბოლოდან მხატვრის გარდაცვალებამდე (1991) განვლილ გზას.

**„ირაკლი ფარჯიანს ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმის პერმანენტულ კოლექციაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მხატვრის ყველაზე დიდი მემკვიდრეობა სწორედ ჩვენს მუზეუმშია დაცული – მესამე სართულზე მას ცალკე დარბაზი ეთმობა.**

**ირაკლი ფარჯიანის მასშტაბური დროებითი გამოფენა აქამდე მუზეუმში რამდენჯერმე დაიგეგმა და გადაიდო, პირველად პანდემიის დროს, როდესაც მხატვარს 70 წელი უსრულდებოდა, თუმცა მაშინ მუზეუმის მხრიდან ჩატარდა კვლევა მხატვრის შესახებ, რომლის კონცეპტუალური გაგრძელება სწორედ ეს ექსპოზიციაა. 2020 წელს ფარჯიანის პორტრეტების მხოლოდ ვირტუალური გამოფენა გახდა შესაძლებელი, რომელიც ნინია ახვლედიანის პროექტის „მუზეუმი სახლიდან“ ფარგლებში მერიის მხარდაჭერით მომზადდა.**

**ირაკლი ფარჯიანის გამოფენა „იდუმალი სხივი“ თანამედროვე ქართულ სახვით ხელოვნებაში გარდამტეხი ფიგურის მრავალშრიან შემოქმედებას წარმოაჩენს. კონსტანტინე ბოლქვაძის საკურატორო თხრობა აგებულია ფარჯიანის ერთგვარ ვიზუალურ თარგმანზე, სადაც მკაფიოდ იკვეთება ფარჯიანის აქტუალობა ჩვენს თანამედროვეობაში. ექსპოზიციაზე წარმოდგენილია არტისტის ხისგან კვეთილი ქანდაკებები, გრაფიკული და ფერწერული ნამუშევრები. ხელოვანი თანაბრად ნაყოფიერი და მრავალმხრივი იყო სტილურ-ჟანრული თუ მედიუმების თვალსაზრისით.**

**ფარჯიანის მხატვრულ სამყაროს, სულის ბიოგრაფიასა და ზოგად ხელწერას ყველაზე მკაფიოდ აღწერს სიტყვა იდუმალი; მასთან იდუმალია ყველა და ყველაფერი – ადამიანები, მცენარეები, ბიბლიურ-მითოლოგიური თუ სხვადასხვა კულტურული სიუჟეტი, განათება, გარემოება, მიზანსცენა, ფსიქეა…**

**ირაკლი ფარჯიანი დაიბადა მესტიაში, 1950 წლის 22 მაისს. ბავშვობიდან ხატავდა, სკოლის დამთავრების შემდეგ ჩააბარა სამხატვრო აკადემიაში ფერწერის ფაკულტეტზე. 1971 წელს შეუერთდა თბილისის ანთროპოსოფისტთა წრეს (ჯარჯი ბალანჩივაძე, ირაკლი რამიშვილი). ხელოვანის შემოქმედებაში მნიშვნელოვანია შემდეგი სერიული ნამუშევრები: „შეხვედრების ციკლი“ (1977), „მარკოზის სახარება“ (1979), „ლუკას სახარება“ (1991), „იოანეს სახარება“ (1979), ოდისეის ციკლი, ადამი და ევას, ხარების, ჯვარცმის, „ფაუსტის“ სერიები (1986), „მეტაფიზიკური ლანდშაფტი.“**

**1986 წელს მეგობრების მიწვევით მიემგზავრება აღმოსავლეთ გერმანიაში მეუღლესთან ერთად. 1990 წელს იფინება ბერლინში. ამ პერიოდში ფარჯიანი ქმნის მასშტაბურ ტილოებს „ ბერლინის ციკლის“ სახელწოდებით და ხდება მოწმე ბერლინის კედლის დანგრევისა.**

**მხატვარი 1991 წლის 22 დეკემბერს 41 წლის ასაკში, მძიმე ავადმყოფობის შედეგად, გარდაიცვალა, სწორედ იმ დღეებში, როცა სამოქალაქო ომის დროს თბილისში „მხატვრის სახლი“ დაიწვა, მასში კი – ირაკლი ფარჯიანის ტილო.**

**ფარჯიანი მიეკუთვნება 1980-იანელთა თაობას, თუმცა იგი მკვეთრად განსხვავებულია თანამედროვეთაგან უკიდურესი სუბიექტივიზმით. ხელოვანი ახდენს მე-20 საუკუნის ქართული სახვითი ხელოვნების ლიბერალიზაციას კოლექტივისტური ცნობიერებისგან“,** – ნათქვამია მუზეუმის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.





# ირანს ნამდვილ ჯოჯოხეთამდე რამდენი წუთი დარჩა?!

**დონალდ ტრამპი – ირანს ათი დღე მივეცი შეთანხმების დასადებად ან ჰორმუზის სრუტის გასახსნელად, დრო იწურება, 48 საათი, ვიდრე ჯოჯოხეთი თავს დაატყდებათ...**

– ამის შესახებ აშშ-ის პრეზიდენტი **დონალდ ტრამპი** სოციალურ ქსელში წერს.

როგორც ტრამპი აღნიშნავს, ირანს 48 საათი რჩება. **„გახსოვთ, როდესაც ირანს ათი დღე მივეცი შეთანხმების დასადებად ან ჰორმუზის სრუტის გასახსნელად. დრო იწურება – 48 საათი, სანამ მთელი ჯოჯოხეთი დაატყდებათ თავს. დიდება ღმერთს!“**, – წერს აშშ-ის პრეზიდენტი.

# ფრთხილად, ამერიკავ!



# ირანელები „აგრესიულ და ომისმოყვარე“ პრეზიდენტს პასუხობენ!

**„მტრობა თუ გამწვავდება, მთელი რეგიონი თქვენთვის ჯოჯოხეთად გადაიქცევა; ირანის ისლამური რესპუბლიკის დამარცხების ილუზია გადაიქცევა ჭაობად, რომელშიც ჩაიძირებით“,** – აცხადებს ირანის შეიარაღებული ძალების უმაღლესი ოპერატიული შტაბის წარმომადგენელი.

ირანში ეს განცხადება მას შემდეგ გააკეთეს, რაც აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ბრძანა, რომ ირანს 48 საათი აქვს შეთანხმების მისაღწევად ან ჰორმუზის სრუტის გასახსნელად, წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანას **„ჯოჯოხეთი დაატყდება თავს“.**

ირანის შეიარაღებულ ძალებში ტრამპს „აგრესიული და ომისმოყვარე“ პრეზიდენტი უწოდეს და მისი მუქარა ირანის ინფრასტრუქტურაზე თავდასხმის შესახებ **„სასოწარკვეთილ, აღგზნებულ და უგუნურ ნაბიჯად“** შეაფასეს.

თეირანში ამბობენ, რომ თუ აშშ ირანის ინფრასტრუქტურას დაარტყამს, თეირანი მიზანში ამოიღებს აშშ-ის არმიისა და ისრაელის მიერ გამოყენებულ ინფრასტრუქტურას.

# რომის პაპმა მებრძოლებს იარაღის დაყრისკენ მოუწოდა

**კათოლიკური ეკლესიის პონტიფექსის რანგში თავისი პირველი სააღდგომო მესის ჩატარებისას, რომის პაპმა ლევ XIV-მ მებრძოლებს იარაღის დაყრისკენ მოუწოდა.**

**„ვინც იარაღს ფლობს – დაყაროს ის! ვისაც ომების გაჩაღება შეუძლია – აირჩიოს მშვიდობა!“** – განაცხადა რომის პაპმა, როდესაც ვატიკანში, წმინდა პეტრეს ბაზილიკის ცენტრალური აივნიდან მორწმუნეებს ტრადიციული სააღდგომო ქადაგებით მიმართა.



მან აღნიშნა, რომ მშვიდობა მიღწეული უნდა იყოს არა ძალით, არამედ დიალოგით. ქადაგებას მოედანზე შეკრებილი დაახლოებით 50 000 მორწმუნე უსმენდა. პონტიფექსის თქმით, ადამიანები ეჩვევიან ძალადობას, ეგუებიან მას და გულგრილნი ხდებიან ათასობით ადამიანის სიკვდილის, ასევე იმ სიძულვილისა და განხეთქილებების მიმართ, რომლებსაც კონფლიქტები თესავს. **„ჩვენ არ შეგვიძლია გავაგრძელოთ გულგრილობა! და ჩვენ არ შეგვიძლია შევეგუოთ ბოროტებას!“** – განაცხადა პაპმა. ამასთან, ის მორწმუნეებს 10 ენაზე მიესალმა, მათ შორის არაბულად, ჩინურად და ლათინურად, რითაც აღადგინა პრაქტიკა, რომელზეც მისმა წინამორბედმა, ფრანცისკემ უარი თქვა.

# თეთრი სახლი თავდაცვის ხარჯების რეკორდულ რაოდენობას 1.5 ტრილიონ დოლარს ითხოვს!

**2027 ფისკალური წლის ბიუჯეტის მოთხოვნაში, თეთრი სახლი კონგრესს სთხოვს, დაახლოებით 1.5 ტრილიონი დოლარი თავდაცვის ხარჯებისთვის დაამტკიცოს.**

როგორც abcnews-ი იუწყება, ეს სამხედრო ხარჯების რეკორდული რაოდენობაა, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც აშშ ირანთან ომს მეხუთე კვირაა აწარმოებს.

**თეთრი სახლის მონაცემებით, დანამატი 445 მილიარდი დოლარია, რაც 42%-ით მეტია 2026 წლის მთლიან მაჩვენებელთან შედარებით. ამასთან, თეთრი სახლის მიერ გამოქვეყნებული ბიუჯეტის თანახმად, არათავდაცვითი ხარჯები 73 მილიარდი დოლარით, ანუ 10%-ით შემცირდება.**

მედიის ინფორმაციით, **შეთავაზებული ხარჯების შემცირების მთავარი სამიზნეები ფედერალური სააგენტოს გარემოსდაცვითი პროგრამებია, მათ შორის, ენერგეტიკის დეპარტამენტის 15 მილიარდ დოლარზე მეტი გრანტის გაუქმება, რომელიც სუფთა ენერგიის საკითხებს ხმარდებოდა.**

როგორც abcnews-ი წერს, თეთრი სახლის ბიუჯეტი ასევე აგრძელებს განათლების დეპარტამენტის მიერ შეთავაზებულ „ლიკვიდაციის გზას“, რომელიც სოფლის მეურნეობის ხარჯების 19%-ით შემცირებას, ხოლო შემოსავლების სამსახურის ბიუჯეტისთვის 1.4 მილიარდი დოლარის ჩამოჭრას ითვალისწინებს.

**„2027 წლის ბიუჯეტი პრეზიდენტის ხედვას ეფუძნება, რომელიც არათავდაცვითი ხარჯების შემცირების გაგრძელებას და ფედერალური მთავრობის რეფორმირებას გულისხმობს“,** – წერს ბიუჯეტისა და მენეჯმენტის ოფისის დირექტორი, რასვოთი კონგრესისადმი გაგზავნილ მოთხოვნაში.

# სერბეთის მთავრობამ გაზსადენზე დივერსიის მცდელობა აღკვეთა

**სერბეთის ხელისუფლება გაზსადენზე დაგეგმილი დივერსიის შესახებ ახალ ინფორმაციას ავრცელებს. სერბეთში განაცხადეს, რომ გაზსადენზე დივერსიის მცდელობა აღკვეთეს.**

კანიჟის მუნიციპალიტეტის სამ სოფელში, ინფრასტრუქტურულ ობიექტთან აღმოჩენილია საეჭვო საგნები. სერბული მედიის ცნობით, ადგილზე გაიგზავნა 140 სამხედრო და



პოლიციელი, ხოლო აღნიშნულ ტერიტორიაზე ძებნა გრძელდება. სერბეთის პრეზიდენტმა **ალექსანდრ ვუჩიჩმა** განაცხადა, რომ კანიჟის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ორი დიდი პაკეტი ასაფეთქებელი ნივთიერებებითა და დეტონატორებით.

მისივე თქმით, **სერბეთის არმიამ შეძლო ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული ქმედების აღკვეთა. სერბეთის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ესაუბრა უნგრეთის პრემიერ-მინისტრ ვიქტორ ორბანს და მიაწოდა ინფორმაცია მიმდინარე გამოძიების შესახებ. მისივე თქმით, დივერსია თუ განხორციელდებოდა, უნგრეთი და ჩრდილოეთ სერბეთი გაზის გარეშე დარჩებოდნენ. ალექსანდრ ვუჩიჩის განმარტებით, ასაფეთქებელი ნივთიერებები იმდენად ძლიერი იყო, რომ შეიძლებოდა, მრავალი ადამიანის სიცოცხლისთვის შეექმნა საფრთხე, ასევე, ინფრასტრუქტურისთვის მნიშვნელოვანი ზიანი მიეყენებინა.**

# იტალიის რამდენიმე აეროპორტში საავიაციო საწვავის დეფიციტია

**სააგენტო „ბლუმბერგის“ ცნობით, იტალიის რამდენიმე აეროპორტში საავიაციო საწვავის შეზღუდული მარაგების შესახებ გაფრთხილება გაავრცელეს, რაც ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე კონფლიქტის შედეგად შექმნილ ენერგეტიკულ კრიზისს უკავშირდება.**

მფრინავებისთვის გაგზავნილი შეტყობინების მიხედვით, ბოლონიის, მილან-ლინატეს, ტრევიზოსა და ვენეციის აეროპორტებში ფრენებისთვის საწვავის მიწოდებაზე დროებით შეზღუდვები დაწესდა. „ბლუმბერგის“ მიხედვით, იტალიაში დაწესებული შეზღუდვები ერთ-ერთი პირველი მაგალითია, როგორ მოქმედებს სპარსეთის ყურეში მიმდინარე ომი ევროპული ავიაკომპანიების საქმიანობაზე.

# დღე-ღამის ციკლი 25 საათი გახდება?!

**დედამიწის ბრუნვა თანდათან შენელდება, რის შედეგადაც დღეების ხანგრძლივობა გაიზრდება.**

თეორიულად, ეს ნიშნავს, რომ ერთ დღესაც პლანეტაზე დღე-ღამის ციკლი 25 საათი გაგრძელდება. თუმცა ეს ცვლილებები იმდენად ნელა მიმდინარეობს, რომ არც თანამედროვე ადამიანი და არც უახლოესი ცივილიზაციები ამას ვერ მოესწრებიან, ნათქვამია Science Advances-ში გამოქვეყნებულ კვლევაში.




ჩვეულებრივ ჩვენ შევეჩვიეთ 24-საათიან დღეებს, მაგრამ ისინი არ არის აბსოლუტურად მუდმივი – ამბობენ მეცნიერები. თუ დედამიწის ბრუნვას ვზომავთ მთვარეებისა და სხვა შორეული ვარსკვლავების მიმართ, მივიღებთ ვარსკვლავურ დღეს, რომელიც ოდნავ მოკლეა. ასევე, „მზის დღე“ მუდმივად მცირდება ან იზრდება რამდენიმე წამით. ძალიან დიდ პერიოდში კი ტენდენცია ცხადია უფრო შესამჩნევი გახდება და დღის ხანგრძლივობა თანდათან გაიზრდება.

მთვარე ყოველწლიურად რამდენიმე სანტიმეტრით შორდება დედამიწას – ეს პროცესი კარგადაა დოკუმენტირებული NASA-ს მიერ და დამტკიცებულია ასტრონომიული დაკვირვებებით და ძველი ისტორიული ჩანაწერებით, განსაკუთრებით მზის უძველესი დაბნელებების მონაცემებით.

**როდის მოვა 25-საათიანი დღე? ნამდვილად არ არსებობს ზუსტი თარიღი კალენდარში, როცა დღე 25 საათი გახდება. ტორონტოს უნივერსიტეტის მკვლევართა შეფასებით, ეს შესაძლებელია, დაახლოებით 200 მილიონი წლის შემდეგ მოხდეს, თუ დედამიწა-მთვარის სისტემა იმავე ტემპით განაგრძობს ევოლუციას. ეს ნიშნავს, რომ ცვლილებები არცერთ პრაქტიკულ გავლენას არ მოახდენს თანამედროვე ცხოვრებაზე, კალენდარზე ან გლობალურ დროებაზე.**



# ილია II-ის ხსოვნას

„მამაო ჩვენო, რომელიცა ხარ ცათა შინა“,
მუხლმოდრეკილი, ლმობიერი ვდგავართ შენს წინა,
არც სიყვარულის, არც ერთობის თხოვნა
არ გვინდა,
ერმა და ბერმა თავის თავი გამოავლინა...

„მზიანი ღამის“ გათენებას მოველით ყველა,
მხურვალე ლოცვამ, ღვთის კურთხევამ
ერთად შეგვყარა,
მაცდურმა ძალამ ერთობის გზა კვლავ გააძნელა,
მაგრამ მოძმეთა სიძულვილი ჯერ ვერ შეგვყარა...

უნეტარესო, შენ ამაღლდი ზეცით ზეცამდე,
რწმენის სიმტკიცით, სიბრძნის ენით
დაგვლოცე ყველა,
ყველაზე მეტად ახლა უჭირს ჩვენს საქართველოს,
მხოლოდშობილ ერს შენეული სჭირდება შველა!

და ეს აღდგომა, ამაღლება დაგვიდგა უკვე,
მარტი კი აპრილს დაესესხა უკვდავი დღენი,
მხოლოდ და მხოლოდ ღვთის წყალობა
და შენი ლოცვა,
იყო, არის და კვლავ იქნება მძლე გადამრჩენი!

**მედეა მოსულიშვილი**

# ოპერის ხმები ქართულ ფოლკლორში

**ამ დღეებში თბილისის სასტუმრო „პულმანის“ კინოდარბაზში (ვაკეში გალაკტიონ ტაბიძის ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე) გაიმართა თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრთან არსებული ფოლკლორული ანსამბლის „სულიკოს“ დოკუმენტური ფილმის ჩვენება.**

ანსამბლის დირექტორი და მენეჯერია ოპერის სოლისტი, უიშვიათესი ხმის ტემბრის მფლობელი **ვანო გალუაშვილი**, მუსიკალური ხელმძღვანელი **ილო დათუაშვილი**. ანსამბლი „სულიკოს“ მსოფლიოს 83 ქვეყანაში აქვს გამართული კონცერტი.



ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი **გია მაღაშვილი** დიდ შეფასებას აძლევს ანსამბლის თითოეული სოლისტის შემოქმედებას. დოკუმენტური ფილმის „სულიკოს“ სცენარის ავტორი და რეჟისორი გახლავთ **ანა ნოდია**, პროექტის ხელმძღვანელი **ირინა ცერცვაძე**.

დოკუმენტური ფილმის ჩვენების შემდეგ მაყურებლის ხანგრძლივი აპლოდისმენტების ფონზე სცენაზე წარდგნენ ფოლკლორული ანსამბლის წევრები, მათ ცოცხლად შეასრულეს რამდენიმე ხალხური ფოლკლორის შედევრი „სულიკოს“ რეპერტუარიდან, მათ შორის აკაკი წერეთლის უკვდავ ლექსზე შექმნილი სიმღერით „სულიკოთი“ დასრულდა დოკუმენტური ფილმის დაუვიწყარი პრემიერა.

**ვანო გალუაშვილმა გულწრფელი მადლობა გადაუხადა დოკუმენტური ფილმის რეჟისორს ანა ნოდიას, პროექტის ხელძღვანელს ირინა ცერცვაძეს და მაყურებელს. მან თქვა, რომ უახლოეს მომავალში გასტროლზე ბალტიისპირეთის ქეყნებში მიემგზავრებიან...**

**ნანა ჭიჭინაძე**

# გულს სიყვარული ატოცხლებს

# ძვირფასო ბაბუ, გილოცავთ 90 წლის იუბილეს!



# გია (გიულენ) ჭუბაბრია

**ბაბუ, თქვენი ცხოვრება არის შრომის, ცოდნისა და თავდადების მაგალითი. თქვენ მხოლოდ ჩვენი საყვარელი ბაბუ არ ხართ – თქვენ ხართ დიდებული მეცნიერი, საქართველოს წამყვანი პარაზიტოლოგი. თქვენი ხელმძღვანელობით „ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი“ გახლდათ ძალზე მნიშვნელოვანი ცენტრი, სადაც ზრდიდით მომავალ თაობებს და აზიარებდით ექიმებს პროფესიულ ცოდნას.**

**ჩვენ ვიცით, რომ თქვენმა ნაშრომებმა, მეთოდურმა მითითებებმა არამხოლოდ მედიცინის ისტორიას შემატა ახალი გვერდები, არამედ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაში. თქვენი მიღწევები – რესპუბლიკის მთავარი პარაზიტოლოგობა, ჯანდაცვის სამინისტროს მაღალი წოდებები, ღირსების ორდენი – ჩვენი ოჯახის, ქვეყნისა და მთელი სამეცნიერო საზოგადოებისთვის უმაღლესი პატივია.**

**მაგრამ ჩვენ, თქვენი შვილიშვილები, ყველაზე მეტად ვაფასებთ თქვენს სითბოს, ყურადღებას და სიყვარულს, რომლითაც გვზრდით. გვასწავლით ცხოვრების და მეცნიერების ფასეულობებს. თქვენი მაგალითი გვასწავლის, როგორ შეიძლება ერთდროულად იყო დიდი პროფესიონალი და საოცრად თბილი, მზრუნველი ბაბუა.**

**ბაბუ, გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, სიმშვიდესა და ყოველდღიურ სიხარულს. ჩვენ, თქვენი შვილიშვილები, მუდამ ვიქნებით თქვენ გვერდით, გეფერებით და ამაყები ვართ, რომ თქვენი ღვაწლის, ცოდნის და სიყვარულის ნაწილი ვართ.**

უსაზღვრო სიყვარულით

**გია, გოგი, ზუკა ჭუბაბრიები**



# თელავს დაგეგმარების ახალი გენერალური გეგმა ექნება

**თელავს სივრცითი დაგეგმარების ახალი გენერალური გეგმა ექნება, რომელიც ქალაქის ეკონომიკურ და ტურისტულ პოტენციალს გაზრდის.**

გენერალური გეგმის ძირითად მიმართულებებსა და კონცეფციაზე შეთანხმდნენ შეხვედრაზე, რომელიც დღეს მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა. შეხვედრაზე გენერალური გეგმის ძირითადი მიმართულებების შესახებ პრეზენტაცია გამართა კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა. გეგმაში გაიწერა ყველა პრიორიტეტული მიმართულება, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარებისთვის. მათ შორისაა ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, კულტურის განვითარების ხელშეწყობა, ქალაქის ადმინისტრაციული ფუნქციებისა და სახელმწიფო სერვისების გადანაწილება, რაც კიდევ უფრო გაზრდის თელავის მიმზიდველობას როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ვიზიტორებისთვის.

**„ყველა მუნიციპალიტეტის განვითარება უნდა დაიწყოს გენერალური გეგმის დამტკიცებით. მნიშვნელოვანია, რომ თელავის ტურისტული პოტენციალი კიდევ უფრო განვითარდეს და კულტურული ცხოვრება ქალაქში იყოს კიდევ უფრო მზარდი და საინტერესო, განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის, როგორც საქართველოს მოქალაქეებისთვის, ასევე უცხოელი სტუმრებისთვის“**, – განაცხადა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსმა **ლევან ჟორჟოლიანმა**.

შეხვედრაში მთავრობისა და პარლამენტის წევრები, კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული, სხვადასხვა უწყებისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.



## პოეტის ერთი ლექსი

ვისაც ნადიკვრიდან მზის ამოსვლა
არ უნახავს, მას საქართველოს
სილამაზე არ უხილავს

**არტურ ლაისტი**

# საუფლო ქალაქი...

ეს საუფლო ქალაქია,
ცივ-გომბორზე შეფენილი,
კოშკები და გალავნები
მტრების სისხლით შეფერილი...
აქ, ერეკლეს აკვანია, –
სიმღერებით დარწეული,
დგანან, ბერიკაცებივით –
მთები, – ცამდე აწეული...

თუ შემოგხვდათ შუამთა და
სიკეკლუცე წაგყვათ ველის,
აქვე არის ვეფხისტყავით,
რუსთაველის ნაკვალევი!..
თუ მონახეთ ჩრდილში წყარო,
ვაზი-ვაზზე გადაწნული,
ვერ მოიკლავთ, ვერასოდეს,
სიყვარულის გზათა წყურვილს!

თუ გინახავს თეთრი ღამე, –
მთვარის ტევრში ალანძული,
რვაასი წლის ჭადარი და
გრილი სიო ალაზნური...
ზღაპარია სილამაზით,
სიდიადე ღვთისა მოსავს, –
ნადიკვრიდან, ერთხელ მაინც,
თუ, გინახავთ მზის ამოსვლა!..

თუ დალიეთ ცივი ღვინოც, –
უკვდავება კახელების,
და... სუფრასთან გიმღერიათ:
„მუმლი მუხას“ გახელებით!..
სადაც წახვალთ: ყველგან, მაშინ,
გული იგრძნობს სიმარტოვეს
და... საუფლო, ზღაპარ-თელავს
ძილშიც ვეღარ მიატოვებთ!..

**ფარნა რაინა**

# ზოგადქართული მოვლენის დაბადება

**საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში ქვეყნის მასშტაბით უპრეცედენტო ახალგაზრდული სპორტული პროექტის – საქართველოს ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის პრეზენტაცია და პრესკონფერენცია გაიმართა.**

დამსწრე საზოგადოების წინაშე მისასალმებელი სიტყვით წარდგნენ და აღნიშნული პროექტის მნიშვნელობის შესახებ ისაუბრეს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **ლერი ხაბელოვმა** და სპორტის მინისტრმა **შალვა გოგოლაძემ.**

საქართველოს ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის შესახებ პრეზენტაცია წარადგინა, ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, სეოკ-ის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა **ელგუჯა ბერიშვილმა.**




პრესკონფერენციის დასრულების შემდეგ გაფორმდა მემორანდუმი ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტსა და სპორტის იმ სახეობების ფედერაციებს შორის, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ აღნიშნულ ღონისძიებაში.

საქართველოს პირველი ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი ტარდება საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ორგანიზებით და საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით.

**ფინალურ ასპარეზობას 2026 წლის 2-6 ივნისს უმასპინძლებს ბათუმი. ეს არის ქართულ სინამდვილეში უმნიშვნელოვანესი მულტისპორტული შეჯიბრება სპორტის 17 სახეობაში, 14-17 წლის სპორტსმენებს (დაახლოებით 1200 სპორტსმენი) შორის, ჩვენი ქვეყნის რეგიონების ნაკრები გუნდების მონაწილეობით.**

ფესტივალის გახსნის საზეიმო ცერემონია გაიმართება ბათუმის ახალ საფეხბურთო სტადიონზე, დახურვის ცერემონია – ბათუმის ბულვარში, ანბანის კოშკთან.

**ფესტივალის ფინალურ ეტაპს წინ უძღვის მუნიციპალური და რეგიონული შეჯიბრებები. მთლიანობაში, ფესტივალის სამივე ეტაპში გამოვა დაახლოებით 30 ათასი სპორტსმენი.**

# მამუს სეზონი



**ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის რეგულარული სეზონის მორიგ შეხვედრაში „ტორონტო რეპტორსმა“ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. კანადურმა გუნდმა სტუმრად „მემფის გრიზლი“ 32-ქულიანი სხვაობით, 128:96 დაამარცხა.**

**სანდრო მამუკელაშვილი** თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და ზედიზედ მეშვიდე შეხვედრაში მინიმუმ 10 ქულა ჩააგდო. ქართველმა კალათბურთელმა 21 წუთში 10 ქულა, 6 მოხსნა დან 2 შედეგიანი გადაცემა დააგროვა. მან 4-და 1 სამქულიანი, 1-დან 1 ორქულიანი და 6-დან 5 საჯარიმო მიითვალა.

რეგულარული სეზონის დასრულებამდე გუნდებს ხუთი მატჩი რჩებათ. „ტორონტო“ აღმოსავლეთ კონფერენციაში 43 მოგებითა და 34 მარცხით მეექვსე ადგილზეა და პლეიოფში პირდაპირ მოხვედრისთვის იბრძვის.

# MVP-ის ტიტულიც, გამარჯვებაც

**თურქეთის სუპერლიგის 25-ე ტურში „ტრაბზონსპორმა“ სტუმრად „ტოფაში“ ძალიან ადვილად, 91:71 დაამარცხა, ხოლო მარკის რიდი საუკეთესო იყო.**

საქართველოს ნაკრების ნატურალიზებულმა კალათბურთელმა 34 წუთში 22 ქულა, 4 მოხსნა, 3 პასი, 2 ჩაჭრა და 1 დაფარება დააგროვა. რიდმა 12-დან 7 ორქულიანი, 1-დან 1 სამქულიანი და 5-დან 5 საჯარიმო ჩააგდო. მარკისი ორივე გუნდში ყველაზე შედეგიანი იყო.

„ტრაბზონსპორი“ 17 მოგებით და 8 წაგებით მეოთხე ადგილზეა, ხოლო მომდევნო ტურში 12 აპრილს, „პეტკიმსპორს“ უმასპინძლებს.



# „სენტ ეტიენი“ მარცხს გადაურჩა

**საფრანგეთის ლიგა 2-ის 29-ე ტურში „სენტ ეტიენი“ „ნანსისთან“ მარცხს ბოლო წუთზე გადაურჩა, ხოლო ზურიკო დავითაშვილმა პენალტი ვერ გაიტანა.**

„ნანსი“ მეექვსე წუთზე დაწინაურდა, ხოლო პირველი ტაიმის ბოლოს სტუმრებს გათანაბრების შანსი მიეცათ, მაგრამ ქართველმა შემტევმა თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან ზუსტად ვერ დაარტყა, მეკარემ დარტყმა მოიგერია. ზურიკო 68-ე წუთზე შეცვალეს.



**„სენტ ეტიენი“ მარცხისგან ლუკა სტასენმა იხსნა, რომელმაც 97-ე წუთზე აღადგინა წონასწორობა და ფრე 1:1.**

ზურიკო დავითაშვილს ლიგა 2-ის მიმდინარე სეზონში 25 მატჩში 12 ბურთი აქვს გატანილი და 3-ჯერ შედეგიანი პასი გააკეთა. ქართველი 12 გოლით ბომბარდირთა დავაში მეორე ადგილზეა და ლიდერს, „ტრუას“ ფეხბურთელ ტაფიკ ბენტაიებს სამი ბურთით ჩამორჩება. მას ერთი გოლი საფრანგეთის თასზეც აქვს. **„სენტ ეტიენი“ 54 ქულით მეორე ადგილზეა, მომდევნო ტურში კი 11 აპრილს, „დიუნკერკს“ უმასპინძლებს.**

# გამონათების მოლოდინში

**„ლივერპული“ ინგლისის ასოციაციის თასის მეოთხედფინალში „მანჩესტერ სიტისთან“ 0:4 განადგურდა და ტურნირს გამოეთიშა.**

არნე სლოტის გუნდს ცუდი სეზონი აქვს, მაგრამ „ეტიჰადზე“ ასეთი მარცხი მაინც არავითარ კრიტიკას არ უძლებს. გიორგი მამარდაშვილმა ალისონი შეცვალა, მაგრამ გუნდს ვერაფრით დაეხმარა. მეორე ტაიმის სტარტი „წითლებისთვის“ კიდევ უფრო კოშმარული იყო: ჯერ ანტუან სემენიომ შეაგდო, შემდეგ ჰოლანდმა ჰეთ-თრიქი შეასრულა. არნე სლოტის გუნდის დაცვის თამაში კრიტიკას ვერ უძლებდა. „ლივერპულს“ პრესტიჟის გოლის შანსი ჰქონდა, მაგრამ მოჰამედ სალაჰმა პენალტი ვერ გაიტანა და 4:0.




მამარდაშვილმა 3 სეივი მიითვალა. ქართველ მეკარეს მიმდინარე სეზონში ყველა ტურნირზე 14 მატჩი აქვს ჩატარებული: პრემიერლიგაში – 6, ჩემპიონთა ლიგაზე – 5, ასოციაციის თასზე – 2 და ინგლისის ლიგის თასზე – 1.

**„ლივერპული“ მომდევნო მატჩს 8 აპრილს, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში „პარი სენ-ჟერმენთან“ ჩაატარებს, შესაბამისად, გიორგი მამარდაშვილი ხვიჩა კვარაცხელიას დაუპირისპირდება. კვარამ ტულუზასთან 3:1 მოგებულ მატჩში მორიგი ასისტი შეასრულა.**

# სამი ლელო საფრანგეთთან

**საქართველოს 18-წლამდე მორაგბეთა ნაკრებმა, წლევანდელი ექვსი ერის ფესტივალის პირველ ტურში მასპინძელ საფრანგეთს 3 ლელო გაუტანა, თუმცა გამარჯვებისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა და მეტოქეს 49:22 იმარჯვა.**

მოთამაშეთა უმრავლესობისთვის, ასევე განახლებული სამწვრთნელო შტაბისთვის, ეს იყო პირველი მაღალი დონის შეხვედრა. საწყისმა ნერვიულობამ ჩვენს გუნდს თავისი კვალი დაატყო. 15 წუთის განმავლობაში ხშირად ვჯარიმდებოდით, ბურთს მუდმივად მეტოქე აკონტროლებდა და ორი ლელოს გატანა მოახერხა. პირველ ჯერზე ფრანგებმა მიზანს მოლით უწიეს, მეორედ კი ჯარიმა სწრაფად გაითამაშეს და ხელდახელ ლამაზი ლელო გაიტანეს.



ამის შემდეგ ბურთზე კონტროლის დამყარება მოვახერხეთ, ახლა უკვე ფრანგებმა მოუხშირეს ჯარიმებს და ამით მე-14 წუთზე ვისარგებლეთ. მოლის შემდეგ სანდრო გამყრელიძემ შეუტია და მიზნამდე სანტიმეტრები დააკლდა, ერთი ფაზის შემდეგ კი რაქიდან იაგო ღუდუშაურმა შეუტია და პირველი საპასუხო ლელო გაიტანა. ლუკა ჭაკუამ გარდასახა. 30-ე წუთზე კარის წინ 20 მეტრში ჯარიმა მოვიპოვეთ, ჭაკუამ კარში დარტყმა გადაწყვიტა და ჩამორჩენა 4 ქულამდე დაიყვანა, თუმცა თამაშის განახლებისთანავე მეტოქემ გარდასახული ლელოთი გვიპასუხა – 10:21.

მეორე ტაიმი საქართველომ აქტიურად დაიწყო, მეტოქის 22-ში 6 წუთი გაატარა და ლუკა შულაიამ მოლი საქართველოს მეორე ლელოთი დაასრულა, ჭაკუამ კი გარდასახვით სხვაობა კვლავ 4 ქულამდე დაიყვანა. საპასუხოდ მასპინძლებმა ჯარიმის გათამაშების შემდეგ ხელდახელ მაღალ ტემპში შემოგვიტიეს და ის ლელოთი დაასრულეს. 52-ე წუთზე ფრანგებმა ცენტრში გაგვიჭრეს ხაზი და მეხუთე ლელოთი უპირატესობა გაზარდეს.

საათის თავზე მასპინძელთა სწრაფი შეტევა მათი მეექვსე ლელოთი დასრულდა, რაზეც მატჩის მიწურულს მოლით და საბა გოგრიჭიანის ლელოთი ვუპასუხეთ. ვატო ლიპარტელიანის გარდასახვა ძელმა აისხლიტა, მეტოქემ კი გაწითლებულ დროზე მორიგი ლელოთი საბოლოო შედეგი დააფიქსირა - 49:22. საქართველოს 18-წლამდე ნაკრები ექვსი ერის ფესტივალზე მორიგ შეხვედრას 7 აპრილს, თბილისის დროით 15:15 საათზე ინგლისის წინააღმდეგ გამართავს. ინგლისელები პირველ ტურში ირლანდიასთან 31:36 დამარცხდნენ.

# სპარინგის გამოცდაა

**საქართველოს წყალბურთელთა ნაკრებმა კანადის გუნდთან ამხანაგური მატჩი ჩაატარა, რომელსაც დამაჯერებლად 17:11 აჯობა.**



საქართველოს ნაკრებში 3-3 გოლით დუშან ვაშიჩი, ხვიჩა ჯახაია და ნიკა შუშიაშვილი გამოირჩნენ, ორჯერ გაიტანა საბა ტყეშელაშვილმა, ხოლო თითო გოლი ვალიკო დადვანის, გიორგი მესხის, საბა მაჭავარიანის, ბესარიონ ახვლედიანის, ველიკო ტანკოსიჩისა და სტეფან პიეშივაცის აქტივშია. საქართველოს ნაკრები ავსტრალიასაც გაეჯიბრება, ხოლო შემდეგ – სლოვაკეთს. რევაზ ჩომახიძის გუნდი მსოფლიო თასის მეორე დივიზიონის მატჩებისთვის ემზადება, რომლის ეგიდით ჯგუფურ ეტაპზე 7-9 აპრილს, თურქეთს, ბრაზილიასა და სლოვენიას დაუპირისპირდება.



# ხარება

## ყოვლადწმიდისა ღვთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა

**7 აპრილს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს ხარებას ყოვლადწმიდისა ღვთისმშობელისა.**

ცნობილია, რომ უფალმა შობამდე დიდი ხნით ადრე აღუთქვა კაცობრიობას, რომ მხსნელს მესიას მოუვლენდა, მას შობდა ქალწული და სახელად უწოდებდნენ ემანუელს („ჩვენთან არს ღმერთი“).

...უფლის წელიწადის სანატრელი დროც დადგა, მოაღწია დღემ, რომელსაც ადამიანთა მოდგმა 5000-ზე მეტ წელს ელოდა. სახარებაში ნათქვამია, რომ მთავარანგელოზი გაბრიელი ქალწულ მარიამს მაშინ გამოუჩნდა, როდესაც ის ნაზარეთში, იოსებ დამწინდველთან ცხოვრობდა.

გადმოცემის თანახმად, ამ დროს ის წმინდა წერილს კითხულობდა და ფიქრობდა ისაიას სიტყვებზე – „ქალწულმან მუცლად იღოს“ – თანაც მხურვალედ ლოცულობდა, ღირსი გაეხადა უფალს, რომ ჩქარა ეხილა მესია.

ლოცვისას ქალწულ მარიამის წინაშე მთავარანგელოზი წარმოდგა და... თითქოს მისი აზრების პასუხად წარმოთქვა ღვთაებრივი მოკითხვა: „გიხაროდენ, მიმადლებულო მარიამ, უფალი შენთანაა, კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა, რამეთუ მაცხოვარი გვიშევ სულთა ჩვენთა“.

ღვთივსულიიერი ნათელი მოეფინა ქალწულს, მან გაიხარა ანგელოზის ხარებით და ირწმუნა, რომ ნამდვილად ღვთის ნებით ეუწყა.

ღვთის დავალების აღსრულების შემდეგ მთავარანგელოზი გაბრიელი ზეციურ ნათელს დაუბრუნდა.

ძე ღვთისას განხორციელების საიდუმლო აღსრულდა. ქალწული დედად იქცა და დედა კვლავ ქალწულად ეგო...

ხარების დღესასწაულს ქრისტიანები პირველი საუკუნეებიდანვე აღასრულებენ.

**გიული ლიპარტია**

---

## არდავიწყება

# ტარიელ კანთელაძე

**საქართველოს ეროვნული გვარდიის სოხუმის მე-5 მოტომსროლელი ბატალიონის ვეტერანები ღრმა მწუხარებით და გულისტკივილით იუწყებიან, რომ 59 წლის ასაკში, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოსთვის თავდადებული მამულიშვილი**



## ტარიელ კანთელაძე

**ძმაო ტარიელ, შენ საქართველოს ძნელბედობის ჟამს გადაწყვიტე, ჩამდგარიყავი შენთვის საფიცარი სამშობლოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა რიგებში. მიუხედავად ბრძოლებში მიღებული მძიმე ჭრილობებისა, მუდამ იყავი ჩვენი ბიჭების გამამხნევებელი და სიმამაცის მაგალითი. მადლობა შენ, ძმაო, უშურველი სიყვარულის გაცემისათვის, წრფელი, მეგობრობისათვის და თანადგომისათვის.**

**გამოსვენება: 7 აპრილს, ქ. ქუთაისი, თავისუფლების ქუჩა 44 (წმ. ილარიონ ქართველის სახელობის ტაძრიდან), 14.00. (დაკრძალვა ქ. წყალტუბოში ( მშობლების სასაფლაოზე).**

---

### „თბილისი ენერჯი“:

# ახალგაზრდა ცოლ-ქმარი გაზის გაჟონვით არ გარდაცვლილა!



**„ორი ახალგაზრდა ადამიანის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გავრცელებული ინფორმაცია, რომ მიზეზი გაზის გაჟონვაა, სიმართლეს არ შეესაბამება. მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ მსგავსი შემთხვევების დროს დაუზუსტებელი ვერსიების გავრცელება არასწორია.**

**„თბილისი ენერჯის“ სპეციალისტების მიერ შემთხვევის ადგილის შემოწმების შედეგად ცეოს (ნამწვის) ან გაზის გაჟონვის კვალი არ ფიქსირდება, შესაბამისად, აღნიშნული შემთხვევა გაზთან კავშირში არ არის“,** – ნათქვამია „თბილისი ენერჯის“ განცხადებაში. მანამდე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ახალგაზრდა ცოლ-ქმარი თბილისში, საცხოვრებელ ბინაში გარდაცვლილი იპოვეს.

# რუსთავში, მტკვარში ახალგაზრდის ცხედარი ნახეს

**ინფორმაციას „ინფო რუსთავი“ ავრცელებს. მაშველებმა ცხედარი მდინარის, გაჩიანი-რუსთავის მონაკვეთზე იპოვეს.**

არსებული ინფორმაციით ცხედარი 1 მარტს გაუჩინარებული ახალგაზრდა მამაკაცის არის. თვითმხილველები აცხადებდნენ რომ მოულოდნელად ხიდზე მოძრავი ავტომობილი გაჩერდა, იქიდან მგზავრი გადმოვიდა და მტკვარში გადახტა.

სამძებრო სამუშაოებში მაშველები პირველივე დღიდან ჩაერთვნენ. მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო.

# სარემონტო სამუშაოების დროს ერთი ადამიანი დაიღუპა, ერთი კი დაშავდა!

**გურჯაანის მუნიციპალიტეტის, სოფელ გურჯაანში სარემონტო სამუშაოების დროს ერთი ადამიანი დაიღუპა, ერთი კი დაშავდა.**

არსებული ინფორმაციით, საცხოვრებელ სახლში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების დროს კედელი ჩამოინგრა. ნანგრევევებში მოყვა მამაკაცი, რომელიც მძიმე დაზიანებების გამო ადგილზე გარდაიცვალა, დაშავდა კიდევ ერთი პირი.

მომხდარზე გამოძიება სსკ-ის 240-ე მუხლით დაიწყო, რაც სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევას გულისხმობს.



# ქრთამის აღების ფაქტზე სამხედრო ჰოსპიტლის თანამშრომელს ბრალდება წარუდგინეს!

**საქართველოს პროკურატურამ, ქრთამის აღების ფაქტზე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალის თანამშრომელს ბრალდება წარუდგინა,** – ინფორმაციას პროკურატურა ავრცელებს.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ სსიპ „გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტლის“ ამბულატორიულ-დიაგნოსტიკური განყოფილების უფროსმა, თანამდებობრივი ავტორიტეტის გამოყენებით, ქრთამის სახით აღებული 3000 ლარის სანაცვლოდ, ეროვნული სამხედრო სამსახურისთვის თავის არიდების მიზნით, წვევამდელ პირზე ისეთი მონაცემების შემცველი სამედიცინო დასკვნის გაცემა უზრუნველყო, რამაც ამ უკანასკნელის სამხედრო ვალდებულების 3 წლით გადავადება განაპირობა.

დაკავებულს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის პირველი ნაწილით (ქრთამის აღება) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. პროკურატურამ ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით სასამართლოს მიმართა.

# აფგან სადიგოვი საქართველოდან გააძევეს!

**აზერბაიჯანის მოქალაქე აფგან სადიგოვს სასამართლომ შეუფარდა ჯარიმა 2 000 ლარის ოდენობით, საქართველოდან გაძევება და ქვეყანაში შემოსვლის აკრძალვა სამი წლის ვადით.**



შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ ადმინისტრაციული წესით დაკავებულ იქნა აზერბაიჯანის მოქალაქე **აფგან სადიგოვი,** რომელიც სასამართლოს წინაშე შესაბამისი ადმინისტრაციული საქმის წარმოების ფარგლებში წარდგა.

შსს-ს ცნობით, თბილისის საქალაქო სასამართლომ სადიგოვი სამართალდამრღვევად ცნო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისთვის. კერძოდ, სოციალურ ქსელში პოლიციელის მიმართ შეურაცხყოფისთვის. სახდელის სახით მას შეეფარდა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით, საქართველოდან გაძევება და ქვეყანაში შემოსვლის აკრძალვა სამი წლის ვადით.

**„სასამართლომ გაითვალისწინა შს სამინისტროს წარმომადგენლების პოზიცია და მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ აღნიშნული პირი 62-ჯერ იქნა გამოვლენილი სხვადასხვა ტიპის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე, მათ შორის შეკრება-მანიფესტაციის წესების დარღვევაზე, რისთვისაც მას ორჯერ უკვე მოხდილი აქვს ადმინისტრაციული პატიმრობა. გარდა ამისა, სხვა ფაქტობრივ გარემოებებთან ერთად, გათვალისწინებულია აზერბაიჯანელი სამართალდამცველების ინფორმაცია აფგან სადიგოვის შესახებ უსაფრთხოების გამოწვევებთან დაკავშირებით.**

# ზუგდიდში 73 წლის მამაკაცი მოკლეს!

**ზუგდიდში 73 წლის ზ. ნოზაძის მკვლელობასთან დაკავშირებით დეტალები ხდება ცნობილი.**




არსებული ინფორმაციით, შემთხვევა 4 აპრილს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი სოფლის დაუსახლებელ ტერიტორიაზე მოხდა. მკვლელობაში ბრალდებული პირი თანასოფლელთან ერთად მდინარე ენგურზე სათევზაოდ იმყოფებოდა. ურთიერთშელაპარაკების შემდეგ მ. მანიამ 73 წლის კაცს თავის არეში დაზიანებები ცივი იარაღით მიაყენა,რის შედეგად მამაკაცი ადგილზევე გარდაიცვალა. დანაშაული 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# ვაჟის გამოჯანმრთელებისთვის ქალიშვილი მსხვერპლად შესწირა!!!

**ინდოეთში დედა 17 წლის ქალიშვილის მსხვერპლად შეწირვით ცდილოგდა ავადმყოფი ვაჟის გამოჯანმრთელებას,** – ამის შესახებ წერს თიმეს ოფ Iნდია.

ქალი ხშირად მიმართავდა 55 წლის ოკულტისტს თავისი უმცროსი ვაჟის მკურნალობის მიზნით, რომელსაც ფიზიკური და ფსიქიკური დაავადებები აწუხებდა. ოკულტისტმა ურჩია დედას, რომ ვაჟის გამოჯანმრთელებისთვის ქალიშვილი მსხვერპლად შეეწირა. დედამ რჩევა მიიღო და ქალიშვილი თავად ამ სპეციალისტის სახლში მოკლეს, შემდეგ კი ბაღში დაკრძალეს. გავრცელებული ინფორმაციით, ეჭვმიტანილებმა სცადეს გამოძიების შეცდომაში შეყვანა, თუმცა გამოძიებამ ეჭვმიტანილად გოგონას მკვლელობაში დედა და ოკულტისტი დაასახელა. საქმეს უკვე სასამართლო იხილავს.



# აფხაზეთიდან დევნილი ჟურნალისტები დააჯილდოვეს!

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერით და აფხაზეთის საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრის ორგანიზებით, ქართული ჟურნალისტიკის დღესთან დაკავშირებით, აფხაზეთიდან დევნილი ჟურნალისტების დაჯილდოების ღონისძიება გაიმართა,** – ინფორმაციას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ავრცელებს.

**მათივე ცნობით, ღონისძიების ფარგლებში მადლობის სიგელებითა და საჩუქრებით დაჯილდოვდნენ ჟურნალისტები, ოპერატორები, რედაქტორები და ტექნიკური პერსონალის წარმომადგენლები, რომლებმაც საქმიანობა აფხაზეთის კონფლიქტამდე დაიწყეს და წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს აფხაზეთის თემატიკის გაშუქებაში.**

**ღონისძიება წუთიერი დუმილით გაიხსნა, სადაც მოწვეულმა სტუმრებმა პატივი მიაგეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის და იმ აფხაზეთელი ჟურნალისტების ხსოვნას, რომლებიც აფხაზეთის შეიარაღებულ კონფლიქტს ემსხვერპლნენ ან დევნილობაში გარდაიცვალნენ.**

დაჯილდოების ცერემონიაზე დამსწრე საზოგადოების წინაშე სიტყვით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **გიორგი ჯინჭარაძე,** აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **ჯემალ გამახარია,** ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორი **კობა კობალაძე** და აფხაზეთის საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრის დირექტორი **ეკა წივწივაძე** წარდგნენ.



# აშშ-ის აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის ეროვნული ჯილდო ქართველ მეცნიერს რაგული ინასარიძეს

**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ ლექტორს და ობსერვატორიის მეცნიერს, რაგული ინასარიძეს, აშშ-ს აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის ეროვნული ადმინისტრაციის ჯგუფური მიღწევის ჯილდო (NASA Group Achievement Award) გადაეცა,** – ინფორმაციას sjsu ავრცელებს.

ასევე, NASA-ს ჯილდო გადაეცა ობსერვატორიის მეცნიერს **ვოვა აივაზიანს.**

**„მეცნიერები მონაწილეობდნენ საერთაშორისო დაკვირვებით კოლაბორაციაში DART Period Change Determination Team, რომელიც განხორციელდა NASA-ს პლანეტარული დაცვის პროგრამის ფარგლებში, კოსმოსური აპარატის კინეტიკური შეჯახების შედეგად ასტეროიდის ორბიტული მოძრაობის ცვლილების შესწავლის მიზნით,“** – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.



# ბოტანიკურ ბაღში „საკურას ყვავილობის დღეები“ გაიმართა

**საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ორგანიზებით, 4 და 5 აპრილს „საკურას ყვავილობის დღეები“ გაიმართა.**

თბილისის მერიის ინფორმაციით, ბოტანიკურ ბაღში მისულ დამთვალიერებლებს ორი დღის განმავლობაში დახვდათ **იაპონურ თემატიკაზე შექმნილი ხელნაკეთი ნივთების გამოფენა; ანიმეების გამოფენა; იაპონური ლიტერატურის მრავალფეროვნება; ორიგამის, შოდოს მასტერკლასი.** ასევე, შესრულდა იაპონური ცეკვები.

კვირას, ფესტივალის მეორე დღე ტრადიციულად იაპონური ჩაის წარმოდგენით გაიხსნა, რის შემდეგაც სუშისა და კინცუგის მასტერკლასები გაიმართა. „საკურას ყვავილობის დღეები“ თბილისის მერიისა და საქართველოში იაპონიის საელჩოს მხარდაჭერით უკვე მეექვსედ გაიმართა.




# ბათუმის დრამატული თეატრი ტრაპიზონის შავი ზღვის საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობს

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს ინიციატივითა და მხარდაჭერით, ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი ტრაპიზონის შავი ზღვის საერთაშორისო ფესტივალში პირველად მიიღებს მონაწილეობას და სპექტაკლით „დარისპანის გასაჭირი“ წარდგება.**

შემოქმედებითი დასი სპექტაკლის ახალ სასცენო ვერსიას საერთაშორისო ფესტივალზე 13 და 14 მაისს წარადგენს. აღნიშნულ ფესტივალზე ბათუმის დრამატული თეატრის მონაწილეობა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქართული თეატრის პოპულარიზაციას საერთაშორისო ასპარეზზე.

ფესტივალი, რომელიც 2000 წლიდან იმართება, მიზნად ისახავს შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებს შორის კულტურული დიალოგისა და თანამშრომლობის გაღრმავებასა და შემოქმედებითი სფეროს განვითარებას.




# წლის ბოლომდე სომხეთში მსოფლიოში უდიდეს იესოს ქანდაკებას აღმართავენ

**ცოტა ხნის წინ ცნობილი გახდა მშენებლობის დასრულების სავარაუდო ვადა – 2027 წელი. მრავალწლიანი დაგვიანებების შემდეგ დაიწყო ქანდაკების პოსტამენტის მშენებლობა ატისის მთაზე. ეს მწვერვალი, რომლის სიმაღლე 2528 მეტრია, მდებარეობს ერევნიდან დაახლოებით 30 კილომეტრში ჩრდილო-აღმოსავლეთით.**

ქანდაკების მთის წვერზე განთავსების შესახებ პირველად 2022 წლის იანვარში გამოცხადდა. **მოქანდაკე პროექტზე ორი წელია მუშაობს. მისი თქმით, კვარცხლბეკთან ერთად, კონსტრუქციის სიმაღლე 95 მეტრი იქნება. თეთრი საღებავით დაფარული ალუმინის ქანდაკება კი 17-20 ტონას იწონის.**

იდეა ბიზნესმენსა და პოლიტიკური პარტია აყვავებული სომხეთის ლიდერს **გაგიკ წარუკიანს** ეკუთვნის.

**„ასე შევძლებთ, მთელ მსოფლიოს ვაჩვენოთ, რომ ვართ პირველი ქრისტიანული ერი დედამიწაზე. ეს ქანდაკება ჩვენი ქვეყნისა და ხალხის დამცველი უნდა გახდეს“,** – თქვა **წარუკიანმა** ჟურნალისტებთან.

საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და
მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაზელიძე,
გია პლატონიშვილი.**

პიარისა და
მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული
ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
**„ტორში“**
ზიგზაგის ქუჩა N6

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323
2 009882 689431

**რეკლამისთვის დარეკეთ:**
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**მომდევნო ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 9 აპრილს**